708 13
1984 №68
ეროვნული ბიბლიოთეკა





68

# ძეგლის მეგობარი

708
1984/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND CULTURAL MONUMENTS

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, 1984

ეროვნული ბიბლიოთეკა



იკორთა -- საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის
ანდრო ბოჩოიძის ნახატი.

**Икорта** — Рис. Заслуженного художника Грузинской ССР
**А. Бочоидзе.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერია „მატერიალური კულტურის ძეგლები"

# ძეგლის მეგობარი

კრებული სამოცდამეორე

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პ/მგ მდივანი), ოთარ თაქთაქიშვილი, ირაკლი ზაქარიაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, ოთარ სანებლიძე, თენგიზ ფერაძე, გიორგი ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი
რედაქტორი — ოთარ ლორთქიფანიძე

Редактор серии **Ираклий Цицишвили**
Редактор **Отар Лордкипанидзе**

გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი


ოთარ ლორთქიფანიძე — გიორგი ლომთათიძე (დაბადებიდან 70 წლის აღსანიშნავად) 5
ზაირა სტურუა — მოგონება . . . . . . . . 7
რამინ რამიშვილი — უჯარმის ექსპედიციაში მუშაობის ზოგიერთი მოგონება . . 9
გიორგი ლომთათიძე — „ვეფხისტყაოსნის" თანამოსაკე საგნები მიწის წიაღიდან . . 12
ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძე — ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე . . . . . . . . 18
ვახტანგ მირიანის ძე ჯაფარიძე — კლდეეთის სამაროვანი და დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ძეგლების შესწავლის საკითხი . . . . . . 28
ნინო უგრელიძე — მოზაიკური ჭურჭელი ბიჭვინტის ნაქალაქარიდან . . . . . 33
მარინე მიწიშვილი — თბილისის კერამიკულ სახელოსნოთა (IX—XIII სს.) შესწავლილობა 36
ბესარიონ ჯორბენაძე — განვითარებული შუასაუკუნეების ჟინვალის სამაროვანი . 39
კახი წერეთელი — სტელები სოფ. დავათის ღვთისმშობლის ეკლესიიდან . . . 43
თინათინ არჩვაძე, ცისანა ჩიკოიძე, მერი ჩხატარაშვილი, ეკა ჯანდიერი — კუხეთის რუსთავი . . . . . . . . . . 49
ცისანა ჩიკოიძე — არტოზანის სამონასტრო კომპლექსი . . . . . . 55
დავით მინდორაშვილი — XI—XIII სს. ლითონის ნივთები უფლისციხიდან . . 60
მერაბ კეზევაძე — ქვითხუროსნი ბერეკაშვილები . . . . . . . 64
სოსლან მარღიშვილი — ფრესკები აბუხალოს გამოქვაბულებიდან . . . 67
გაიოზ ალშიბაია — ინფორმაცია იკომოსის VII გენერალური ასამბლეის შესახებ . 70
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე . . . . . . . . 72-79


## СОДЕРЖАНИЕ


**О. Лордкипанидзе** — Георгий Ломтатидзе (к 70-летию со дня рождения) 5
**З. Струуа** — Воспоминание . . . . . . . . 7
**Р. Рамишвили** — Уджармская экспедиция . . . . . . . 9
**Г. Ломтатидзе** — Археологические предметы эпохи Руставели . . 12
**В. В. Джапаридзе** — Один Магометанский мавзолей из пригородного могильника городища Дманиси . . . . . . . . 18
**В. М. Джапаридзе** — Клдеетский могильник и вопрос изучения позднеантичных памятников западной Грузии . . . . . . 28
**Н. Угрелидзе** — Мозаичные сосуды из бичвинтского городища . . 33
**М. Мицишвили** — Вопрос изученности керамического производства в Тбилиси . . . . . . . . . . 36
**В. Джорбенадзе** — Жинвальский могильник развитого средневековья . 39
**К. Церетели** — Стелы из церкви богородицы в сел. Давати . . 43
**Т. Арчвадзе, Ц. Чикоидзе, М. Чхаратарашвили, Е. Джанднери** — Кухетский Рустави . . . . . . . . . . . . 49
**Ц. Чикоидзе** — Монастырский комплекс Артозани . . . . 55
**Д. Миндорашвили** — Металлические изделия XI—XIII вв. из Уплисцихе 60
**М. Кезевадзе** — Зодчие Берекашвили . . . . . . . 64
**С. Маргишвили** — Фрески из пещеры Абухало . . . . . 67
**Г. Алшибая** — VII ассамблея ИКОМОС . . . . . . . 70
Аннотация на русском и английском языках . . . . . 72—79

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გიორგი ლომთათიძე

**დაბადებიდან 70 წლის აღსანიშნავად**

ქართული კულტურის ძეგლთა შესწავლისა და დაცვის დიდი ეროვნული საქმის სათავეებთან იმთავითვე აქტიურად იდგა ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მეცნიერი-არქეოლოგი გიორგი (გოგი) ლომთათიძე, რომელსაც 1984 წლის 26 ნოემბერს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა. იგი სრულიად ახალგაზრდა, შემოქმედებითი ძალების სრულად გაფურჩქვნის ასაკში, 56 წლისა გარდაიცვალა (1971 წლის 23 ოქტომბერს) და მიუხედავად ამისა მან წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიის შესწავლის დარგში.

გიორგი ლომთათიძე იყო უაღრესად განათლებული და ნიჭიერი წარმომადგენელი ქართველ არქეოლოგთა უფროსი თაობისა, რომელსაც წილად ხვდა ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილისა და გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით დაეწყო ფართო მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში.

გიორგი ლომთათიძის სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკა უაღრესად ფართო და მრავალმხრივი იყო: იგი მოიცავდა ბრინჯაოს, ანტიკური და საშუალო საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და კულტურის მრავალ დიდმნიშვნელოვან საკითხს. გიორგი ლომთათიძე ავტორია სპეციალისტებისათვის ფართოდ ცნობილი მონოგრაფიებისა „კლდეეთის სამაროვანი“, „ბრინჯაოს სარტყლები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში“, „საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს.“ და სხვა მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა ჩვენი რესპუბლიკისა თუ საკავშირო ავტორიტეტულ სამეცნიერო პერიოდულ ორგანოებსა და კრებულებში რომაა დასტამბული.

ასევე ფართო იყო გიორგი ლომთათიძის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების გეოგრაფიაც. იგი გახლდათ ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირველი არქეოლოგიური სამუშაოებისა მცხეთაში. მასვე ეკუთვნის ერთ-ერთი პირველი განმაზოგადებელი ნაშრომი („არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში“. თბ. 1944) ამ გათხრებზე. შემდეგ მისი თანაავტორობით იბეჭდება ფუნდამენტური ნაშრომი არმაზისხევის ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ მცხეთა I. გიორგი ლომთათიძის ხელმძღვანელობითა თუ უშუალო მონაწილეობით განხორციელდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება უჯარმის ციხე-ქალაქსა და ნადარბაზევში. ძველი თბილისის „განჯისკარის“ უბანზე და ეწ. „ნარიყალად“ წოდებულ დედა ციხეზე, ურბნისის ნაქალაქარსა და კუხეთის რუსთავში.

გიორგი ლომთათიძე გახლდათ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დამფუძნებელი საშუალო საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებისა, სადაც აღიზარდა მთელი თაობა ახალგაზრდა არქეოლოგებისა ახლა რომ წარმატებით წარმართავენ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ჟინვალსა და გრემში, ჯავახეთის ახალქალაქსა და კუხეთის რუსთავში, ჭერემში, ვარციხჰესის მშენებლობის ზონაში (ვარდციხის ნაქალაქარი



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. ბიბლიოთ.

და სხვა), იკვლევენ ქართული კულტურის ძეგლებს ჩრდილოეთ კავკასიაში, მოსკოვის დონის მონასტერში და სხვ. აღარას ვიტყვი მრავალრიცხოვან მაღალკვალიფიციური საკანდიდატო დისერტაციების შესახებ გიორგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით რომ მომზადდა.

საკმაოდ თვალსაჩინოა გიორგი ლომთათიძის ღვაწლი ქართული არქეოლოგიის მიღწევათა საჯაროდ პოპულარიზაციის აგრე დიდად საშურ საქმეში. მის მადლიან კალამს ეკუთვნის უამრავი წერილები „ძეგლის მეგობარში“, რომლის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ავტორი იყო იგი მუდამ, აგრეთვე რესპუბლიკის მრავალ ჟურნალ-გაზეთში. ქართველ მკითხველთა ფართო წრე კარგად იცნობს მის შესანიშნავ მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევს „წინაპართა ნაკვალევზე“.

გიორგი ლომთათიძის აგრე მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან ალბათ საგანგებოდაა აღსანიშნავი ის დიდი ღვაწლიც, რომელიც მან თავის მეუღლესთან ნინო ლოლობერიძესთან ერთად დასდო დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული და ლიტერატურულ-მემუარული მემკვიდრეობის სისტემატიზაციის, რედაქტირებისა და გამოცემის დიდ საშვილიშვილო საქმეს.

ჭეშმარიტად განუზომელია გიორგი ლომთათიძის ღვაწლი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში. ამიტომაცაა, რომ მის სახელს მუდამ მადლიერებითა და ღრმა მოწიწებით ვიხსენებთ. წინამდებარე კრებული კი თავისებური გაგრძელებაა გიორგი ლომთათიძის მოღვაწეობისა. მისი ავტორები უპირველესად გიორგი ლომთათიძის თანამშრომლები და მოწაფეები არიან. ისინი მოგვითხრობენ ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე იქ, სადაც სამუშაოები ჯერ კიდევ გიორგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით დაიწყო.

ოთარ ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაირა სტურუა

## მოგონება

ეს მოგონება „ძეგლის მეგობართანაა“ დაკავშირებული. მაშინ ამ კრებულის პასუხისმგებელი მდივანი ვიყავი.

მინდა გავიხსენო პირველი შეხვედრა ბატონ გოგისთან. აქვე უნდა ითქვას, იგი „კონფლიქტით“ დაიწყო.

კრებულის პირველი ნომერი უკვე იბეჭდებოდა. ის იყო სტამბიდან დავბრუნდი, მითხრეს ავტორი გელოდებაო. ეს გახლდათ გიორგი ლომთათიძე. მანამდე მას პირადად არ ვიცნობდი. იგი თავაზიანად მომესალმა და შემდეგ საკმაოდ გამწყრალი ტონით თქვა: ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, ჩემი წერილი პირველ ნომერში რომ არ იბეჭდებაო. ამას ამბობდა, მაგრამ მივხვდი, საყვედური რედაქციის მისამართით იყო ნათქვამი. პირველად სახტად დავრჩი, მაგრამ შემდგომში, როცა ბატონი გიორგი კარგად გავიცანი, ჩემთვის გასაგები გახდა მისი გულისწყრომის მიზეზი. ამით მას ძეგლების სიყვარულის გამოხატვაში „პირველობა“ ეწადა. მას ხომ ფანატიკურად უყვარდა ძეგლები!

ამის ნათელი დადასტურებაა მთელი მისი ცხოვრება. იგი 35 წლის განმავლობაში უფროსი თაობის არქეოლოგთა მხარდამხარ დაუზარელად ეწეოდა საველე და მეცნიერული შრომის მძიმე ჭაპანს!

რა თქმა უნდა, ჩვენი კრებულის მეორე ნომერშივე დაიბეჭდა მისი პირველი სტატია „არქეოლოგიური ძეგლები და გონიერი მშენებლები“ და იმ დღიდან მოყოლებული თითქმის ყველა, ხოლო რომელიც არქეოლოგიას ეხებოდა, უკლებლივ ყველა ნომერში იყო დაბეჭდილი მისი წერილები. შეიძლება ითქვას იგი „ძეგლის მეგობრის“ ყველაზე აქტიური, ყველაზე პროდუქტიული ავტორი იყო! რა წერილიც არ უნდა ჰქონოდა დასაწერი, არქეოლოგიაზე იქნებოდა ეს თუ ქართული მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებზე, რომლის უბადლო მცოდნეც იყო, თუ ქართული კულტურის დიდ მოღვაწეებზე — სულერთია, მისი წერილი ყოველთვის საინტერესოდ იკითხებოდა, მისი წერის მანერა, სტილი — ჩამოყალიბებული მწერლის სტილი იყო.

დაწერილ მასალას გადაბეჭდილს რამდენჯერმე ჩაიკითხავდა, არ დაიზარებდა ბეჭდვის დროს სტამბაში შეევლო, დაეხედა ფოტოებისთვის, შეედარებინა ტექსტები. მახსოვს, ერთხელ ფერადი ბეჭდვის სტამბაში მისი წერილის ფერად ილუსტრაციაზე კუხეთის რუსთავის ნაცვლად, კუნეთის რუსთავი გაპარვოდათ. შეცდომას ისე განიცდიდა, სანამ არ გაგვასწორებინა, არ მოგვეშვა. პრეზიდიუმის მთელი აპარატის თანამშრომლები ვმუშაობდით მასზე და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, მთელი ტირაჟი ჩასწორებული რომ ნახა. იგი პრინციპული, მომთხოვნი იყო თავისთავთან და ამასვე მოითხოვდა სხვისგანაც.

ბატონი გიორგის წერილით იხსნებოდა შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი ნომერი „რუსთაველის საქართველოს არქეოლოგიის შესახებ“.

რუბრიკაში „კულტურის ძეგლთა მცველნი და მოამაგენი“ მის მიერ მეტად საინტერესოდ იყო წარმოდგენილი მასალა დაუღალავ მკვლევარზე, ქარ-

თული კულტურის ყოველგვარ ძეგლთა თავდადებულ მოჭირნახულის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. აუღელვებლად ვერ წ[illegible] დით ამ შესანიშნავ წერილს, რომელშიც სტატიის ავტორი ცდილობ[illegible] ყოფილად აესახა ექვთიმე თაყაიშვილის ნამდვილი გმირული დამსახურება ჩვენი კულტურის „მოძრავ“ ძეგლთა დაცვის საქმეში.

ბატონი გიორგის მიერ იქნა შემოღებული „ძეგლის მეგობარში“ რუბრიკა „კულტურის ძეგლთა დაცვის ისტორიიდან“. ამ რუბრიკის ქვეშ დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას“, რომლის დედანი რედაქციას მოაწოდა გიორგი ლომთათიძემ.

ამავე რუბრიკაში მან პირველმა გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი თანამოაზრისა და თანამოსაქმის, ცნობილი ქართველი პუბლიცისტის ალექსანდრე ნანეიშვილის „ალ. ნა-ლის“ წერილი, რომელიც გაზ. „ივერიის“ მოწინავედ დაიბეჭდა. ამ სტატიაში თვალნათლივ იყო წარმოჩენილი, თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გაზეთი იმ სამარცხვინო ვითარებას, რომელშიც მაშინ იმყოფებოდა ჩვენი ძეგლების დაცვის საქმე და გულმტკივნეული, მრისხანე და მეცნიერულად დასაბუთებული მამხილებელი მოწოდებებით ეხმაურებოდა ამ ეროვნულ-კულტურული თვალსაზრისით მწვავე საკითხს.

ამ წერილების თემატიკა შემთხვევითი არ იყო ბატონ გიორგისათვის. აქედან ნათლად ჩანს, რა აწუხებდა და რითი სუნთქავდა მეცნიერი. არ წამოჭრილა არცერთი საკითხი, რომ ჩვენი კრებულის ფურცლებიდან არ გამოხმაურებოდეს იგი. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში რუბრიკაში „ვიცნობდეთ ჩვენი დედაქალაქის ძეგლებს“ დაბეჭდილ სტატიის „თბილისის დედაციხის არქეოლოგია“ ავტორთა ჯგუფს მეთაურობდა ბატონი გოგი.

ბატონი გოგი მუდამ საქმით იყო დაკავებული, მოცლილს ერთი წუთით ვერ ნახავდით. ალბათ ეს იყო მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობის წარმატების საწინდარი. მრავალმხრივ დატვირთული მეცნიერის შეწუხება ხშირად გვეუხერხულებოდა, მაგრამ საკმარისი იყო უხერხულობის ზღურბლისთვის გადაგვებიჯებინა და გეთხოვა ჟურნალისთვის სტატია გვჭირდებაო, უმალ ყველა საქმეს გვერდზე გადასდებდა და დანიშნულ დროს რედაქციაში გვესტუმრებოდა.

იგი დიდად აფასებდა პირად ინიციატივას, საქმით გატაცებას. ახარებდა ახალგაზრდების შემართება, საქმისადმი სიყვარული. რაც არ უნდა მძიმე პრობლემის წინ აღმოჩენილიყავი, გაგამხნევებდა, ცეცხლს არ ჩაგიქრობდა, წაგაქეზებდა. იგი იშვიათი გულმოდგინებით ადევნებდა თვალს ახალგაზრდებს, დრო[illegible] არ ზოგავდა მათთვის. ყოველივე ამას მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით აკეთებდა. ეს თვითონაც არაერთხელ მიგრძვნია.

მახსოვს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ზაფხულში კავთისხევში შევხვდი ქალბატონ ნინოსთან ერთად. ძალიან გამეხარდა. მშვენივრად გამოიყურებოდა. მერე გავიგე, კავთისხევში გათხრები მიმდინარეობდა და დასვენების დროსაც ძეგლებთან ახლოს ყოფნა ეწადა! ვინ იფიქრებდა, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ აღარ იქნებოდა.

ძნელია პატარა მოგონებაში ჩატიო ყველაფერი ბატონ გოგიზე. ეს ერთგვარი ცდაა შეავსოს პორტრეტი ამ ღირსეული მოქალაქისა და მამულიშვილისა.

რამინ რამიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უჯარმის ექსპედიციაში მუშაობის ზოგიერთი მოგონება

1950 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა შორის დიდი აჟიოტაჟი იყო: ყველას პირზე ეკერა სიტყვა უჯარმა. მალე დეკანატის წარმომადგენელმა ოფიციალურად გამოგვიცხადა, რომ საზაფხულო გამოცდების დამთავრებისთანავე 1 ივლისიდან, იწყება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და უნივერსიტეტის ერთობლივი დაზვერვითი-არქეოლოგიური ექსპედიცია ივრის ხეობაში, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო უჯარმის გრანდიოზული ციხე-დარბაზის გათხრა. აღნიშნული ღონისძიება დაკავშირებული იყო ივრის სარწყავი სისტემის მშენებლობასთან, რომლის სათავეც სოფ. სიონში მდებარეობდა და, რომელიც თავის მრავალრიცხოვანი სამშენებლო ობიექტებით მთლიანად მოიცავდა ივრის შუა წელს.

ივრის ხეობის (უჯარმის) მრავალწლიანი არქეოლოგიური ექსპედიციის ჩამოყალიბების უშუალო ორგანიზატორები იყვნენ თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, „ჩვენი „ძია ნიკო“ როგორც მაშინ სიყვარულით ვუწოდებდით სტუდენტები და აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, რომელმაც სწორედ 1950 წელს წაგვიკითხა შთამბეჭდავი ლექციების კურსი საქართველოს ისტორიაში და თავისი ბრწყინვალე ორატორული ნიჭითა და პრობლემატური საკითხებით აღსავსე საუბრებით, თითქმის მთელი სტუდენტობა განგვაწყო საქართველოს ისტორიაში სამუშაოდ.

ორთავე ნიკოს რწმენით უჯარმა უნდა ქცეულიყო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო ექსპედიციად, სადაც ბევრი რამ სტუდენტთა ძალებით უნდა გაკეთებულიყო.

დეკანატის განცხადებით I კურსდამთავრებულთათვის უჯარმაში წასვლა სავალდებულო იყო. ხოლო II და III კურსელებს კი-ამ ღონისძიებაში სურვილის მიხედვით უნდა მიეღო მონაწილეობა. III კურსზე თავდაპირველად მსურველი ბევრი ჩანდა, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის ჯგუფში. ჩვენს შორის ყველაზე უფრო ინიციატივიანმა გივი ორჯონიკიძემ უჯარმაში წამსვლელთა სავარაუდო სიაც კი შეადგინა, მაგრამ ივნისში ბევრი რამ შეიცვალა. გივიმ კონსერვატორიაში შესვლა განიზრახა და ძალაუნებურად ჩამოგვშორდა, ჩვენ კი საგამოცდო ორომტრიალში გართულებს — უჯარმა მხოლოდ ივნისის ბოლოს გაგვახსენდა. როცა დეკანატს მივაკითხეთ გაირკვა, რომ უჯარმის ექსპედიციაში წამსვლელთა სიები უკვე შევსებული იყო.

დეკანის მოადგილემ გიორგი უშვერიძემ, გურამ აბრამიშვილსა და მე უარი გვითხრა, თუმც ცალყბად მიგვანიშნა, რომ მეცნიერებათა აკადემიაში შეიძლებოდა გვენახა ივრის ხეობის კომპლექსური ექსპედიციის ხელმძღვანელის ნ. ბერძენიშვილის მოადგილე არქეოლოგი გ. ლომთათიძე, რომელსაც შეეძლო ჩვენი დახმარება. გ. ლომთათიძე მაშინ პირადად არ გვენახა, თუმც მცხეთის ექსპედიციაში მისი საქმიანობის შესახებ ბევრი რამ გვსმენოდა. საკმაოდ დიდი თვითდაჯერებით გავემართეთ ძერჟინსკის ქუჩისკენ, რათა ისტორიის ინს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტუტში მოგვეძებნა ჩვენი „ბოლო იმედი“ გიორგი ლომთათიძე. მეორე სართულის საკმაოდ ჩაბნელებულ კორიდორში გავიგეთ, რომ „სიმპატიური, სათვალებიანი კაცი“ გ. ლომთათიძე იმყოფებოდა დირექციის მომიჯნავე ოთახში. საკმაოდ დიდ და ნათელ კაბინეტში ორი კაცი დაგვიხვდა, ორივე სიმპატიური ჩანდა და... ორივეს დიდრონი სათვალე ეკეთა. როგორც შემდგომ გაირკვა ის „მეორე“ გახლდათ ჩვენი სასიქადულო მეცნიერი, წყაროთმცოდნე ალ. გამყრელიძე. გ. ლომთათიძემ თავაზიანად მიგვიწვია თავის მაგიდასთან, მაგრამ როდესაც გაიგო, ჩვენი მისვლის მიზეზი, და ის რომ სტუდენტები ვიყავით სახეზე შეეტყო, რომ დიდად მოხარული არ დარჩენილა ჩვენი ვიზიტით. მცხეთის გამოცდილებით, ეტყობა, იგი ექსპედიციაში სტუდენტთა ყოფნაზე და საქმიანობაზე მაინცდამაინც მაღალი აზრისა არ იყო. გადაჭრით არაფერს არ დაგვპირებია, ოღონდ გვითხრა, რომ თუ სიაში მყოფი სტუდენტები არ მოვლენ თქვენ წაგიყვანთო.

დანიშნულ დღეს 2 ივლისს მე და გურამ აბრამიშვილმა სხვებს მივასწარით უნივერსიტეტის ეზოში. მალე სიაში მყოფი ჩვენი თანაკურსელებიც მოვიდნენ (თემო დევდარიანი, იულონ კორძახია, და სხვები) იქვე ცალკე გუნდად მოგროვდა პირველკურსელთა დიდი ჯგუფი (გურამ ნემსაძე, იაზო კიკვიძე, ნოდარ ასათიანი, კიაზო ფიცხელაური, ზანდი ბოცვაძე, თენგიზ თოდრია, დურმიშხან ცინცაძე, გურამ ზედგენიძე და სხვები), რომელთაც, როგორც „უფროსები“, რამდენადმე ქედმაღლურად ვუცქერდით, მაგრამ, როდესაც ავტობუსი ჩამოდგა მათ მეტი „ენერგია“ და მოხერხება გამოამჟღავნეს და დაუყოვნებლივ დაიკავეს ავტობუსის უკეთესი ადგილები. მესამე კურსელები ბოლო რიგში მოვკალათდით და, რადგანაც სია არავის არ ამოუკითხავს, ჩვენც სხვებთან ერთად უჯარმაში გავემგზავრეთ. დავბანაკდით სოფ. უჯარმის სკოლის შენობაში. უნივერსიტეტიდან სტუდენტური ჯგუფების ხელმძღვანელად გაგვაყოლეს საოცრად წყნარი და მოკრძალებული ადამიანი, დოცენტი ვასილ კოპალიანი. ორ დღეში ჩამოვიდა ექსპედიციის ხელმძღვანელობაც (ნ. ბერძენიშვილი, გ. ლომთათიძე, შ. მესხია), აგრეთვე ექსპედიციის დანარჩენი წევრებიც (ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე, ქეთო ბერძენიშვილი, ნადია ოქროპირიძე, ბატონი გიორგი მელიქიშვილი, აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერები: შოთა ხანთაძე, გივი ჯამბურია, ოთარ ტყეშელაშვილი, ედიშერ ხოშტარია, როსტომ აბრამიშვილი თენგიზ პაპუაშვილი და სხვები); მათთან ერთად ჩამოვიდა უჯარმაში II და III კურსელ გოგონათა ჯგუფი, რომელთა შორის არქეოლოგიისადმი ტრფიალით, დაუცხრომელი ენერგიითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა მარინე მიწიშვილი, შემდგომში გ. ლომთათიძის ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე. არქეოლოგიურ ექსპედიციაში ირიცხებოდა 50-იანი წლების საქართველოს ქალიშვილთა „კერპი“ ირაკლი ციციშვილი, რომელიც მიზანდასახული შრომისმოყვარეობის საუცხოო მაგალითს წარმოადგენდა. ექსპედიციას ამშვენებდა გ. ლომთათიძის მეუღლე ქართული სიმღერების ნატიფი შემსრულებელი და ყურადღებიანი ნინო ლოლობერიძე, ხშირად ჩამოდიოდა განუმეორებელი ვარლამ დონდუა......

პირველი „ნამდვილი“ შეხვედრა გ. ლომთათიძესთან შედგა უჯარმის ციხეზე, სამუშაოთა დაწყების პირველსავე დღეებში და იგი ჩემს მეხსიერებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარუშლელი დარჩა, რადგანაც სტუდენტთა კრებულის წინაშე წარსდგა ყველა თავისი ღირსებით... ბატონი გოგი გატაცებით გვიყვებოდა ადრე შუასაუკუნეთა ხანის საქართველოზე, ივრის ხეობაზე, უჯარმის მნიშვნელობაზე, წერილობით ძეგლებზე, რომლებიც უჯარმას შეეხებოდა, არქეოლოგიური გათხრების მეთოდებზე და იმ დიდ პერსპექტივაზე, რაც ამ სამუშაოთა დაწყებით ისახებოდა ქართული არქეოლოგიის წინაშე. ამ პირველი საუბრის დროს უჯარმის ციხე-ქალაქის ციტადელში, უზარმაზარი მუხის ჩრდილში მსხდომთა წინაშე იდგა ახოვანი, სათნო იერის, დიდრონ სათვალეებს მიღმა კეთილსხივჩამდგარი, სამშობლოს ისტორიაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, რომელიც საოცრად „უხდებოდა“ გალავნის ქონგურებსა და გრანდიოზულ ციხე-ბურჯთა სილუეტებს. ჩანდა, რომ ბატონი გოგი საველე ლექციისათვის საგანგებოდ იყო მომზადებული, მაგრამ მისი შინაარსიანი საუბრის მიხედვით ადვილად შეატყობდა კაცი, რომ ჩვენს წინაშე იდგა ღრმად ერუდირებული, ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური კვლევის მეთოდების შესანიშნავი მცოდნე, ბუნებრივი სიდინჯითა და ტაქტით დაჯილდოებული, უკვე დაბრძენებული კაცი..... არა და იმ დროს იგი მხოლოდ 36 წლისა გახლდათ.

და ეს შთაბეჭდილება მით უფრო დასაფასებელი იყო, რომ წინადღეს უკვე მოსმენილი გვქონდა „საველე ლექციების ჯადოქრის“ ნ. ბერძენიშვილის საუბარი.

უჯარმის ექსპედიცია ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის იყო პირველი არქეოლოგიური „სკოლა“ და ჩვენ ყოველთვის დიდი მადლიერებით ვიგონებთ ბატონ გოგის, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც დავიწყეთ პირველი ნაბიჯების გადადგმა საველე პრაქტიკული საქმიანობის გზაზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უჯარმის ექსპედიციაში მომუშავე სტუდენტების თავდადებულმა შრომამ და საქმისადმი დიდი სიყვარულის გამომჟღავნებამ, ძირფესვიანად შეცვალა ბატონი გოგის დამოკიდებულება „სტუდენტობისადმი“.

ბატონი გოგი განსაკუთრებული გულისხმიერებით გამოირჩეოდა არქეოლოგიური მეცნიერებით დაინტერესებული ახალგაზრდობის მიმართ, რაც ჩემთვის დასაწყისიდანვე ცხადი იყო, განსაკუთრებით სადიპლომო ნაშრომის შესრულების დროს, როდესაც მან გულუხვად შემომთავაზა უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციის მთელი მონაპოვარი.

უჯარმის ციხე-დარბაზის არქეოლოგიური გამოკვლევა მართალია არ დასრულებულა, მაგრამ სამი არქეოლოგიური სეზონის განმავლობაში ექსპედიციამ მოიპოვა უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა, რომლის მეცნიერული ღირებულება ჩემთვის ერთხელ კიდევ ცხადი გახდა ამ ორიოდე წლის წინ, როდესაც გამოსაქვეყნებლად მზადდებოდა ბატონი გოგის ხელმძღვანელობით მოპოვებული არქეოლოგიური მასალები და ის ნაშრომები, რომლებიც მას უჯარმის შესწავლისადმი აქვს მიძღვნილი. ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე გიორგი ლომთათიძის მრავალრიცხოვან ნაშრომთა სიას შეემატება კიდევ ერთი სოლიდური მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც შინაარსიანად და სრულადაა ასახული ადრეულ შუასაუკუნეთა საქართველოს უმნიშვნელოვანესი ნაქალაქარი — უჯარმა.

გიორგი ლომთათიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ვეფხისტყაოსნის“ თანამოასაკე საგნები მიწის წიაღიდან

ქართველი არქეოლოგების ერთ-ერთ საზრუნავს ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში შეადგენს ჩვენი კულტურული წარსულის იმ მონაკვეთის დამიწებულ ძეგლთა გამოვლენა და შესწავლა, რომელსაც სავსებით მართებულად ეწოდება „რუსთაველის ხანა“.

ჯერ კიდევ 1936-39 წლებში დაიწყო („შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმმა“) ცნობილი ციხე-ქალაქის დმანისის ნაშთების, გეგუთის ნასასახლევის, გუდარეხის ნამონასტრევისა და შიომღვიმის მონასტრის წყალსადენის თხრა. 1948 წლიდან მუშაობა დიდად გაფართოვდა და სადღეისოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიების საგნად ქცეულა, ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, აგრეთვე: თბილისი, რუსთავი (კუხეთისა), უჯარმა, თელავი, ახალქალაქი (ჯავახეთისა), მცხეთა, ნადარბაზევი (სასახლის ნანგრევი ქ. სამშვილდის მიდამოებში), სიონი (ივრისა), ნამონასტრევები არმაზისხევში და ვანისქვაბებში (მესხეთს), ნასოფლარები ბოლნისისა და სამშვილდის მიდამოებში, მინის წარმოების ნაშთები ნატბეურში (მცხეთის რ.), სამალავ-სახიზარი ქვაბები (ხვამლი, თრეხვი, ბეთლემი) და ა. შ. ამ ნაირნაირ ძეგლებს თხრიან უმთავრესად ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორია-არქეოლოგია-ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და აგრეთვე ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციები.

განათხარებში მრავლად არის წარმოჩენილი ამათუიმ დანიშნულების შენობათა ნანგრევები (ციხე-ქალაქთა ნაშთებსა, ნასოფლარებსა, ნამონასტრევებსა და სხვ. შორის); ნაპოვნია რამდენიმე ვრცელი მნიშვნელოვანი წარწერა და ა. შ. მაგრამ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და თან სხვაზე არა ნაკლებ მეტყველი არის ის დღენიადაგ სახმარი საგნები, რომლებიც საკმაოდ თვალნათლივ გვიხასიათებენ რუსთაველის დროინდელი ქართველობის ყოფასა და შრომითს საქმიანობასაც კი. ისინი ათასეულობით თუ არა, ასეულობით მაინც ახლავან თითოეულ დიდ განათხარს.

დიდი ხანია არქეოლოგებმა თვალი შეაჩვიეს მათ, როგორც სათანადო კულტურული ფენების საუკეთესო დამთარიღებელ მასალას: უმეტესობა არც XI საუკუნის უადრეს გვხვდება და არც XIII საუკუნის უგვიანეს, მაგრამ მათ არასოდეს ავიწყდებათ კიდევ ერთი რამ: ის საგნები ზოგადად მაშინ კეთდებოდა ჩვენივე ხელოსნების მიერ (ნაწილი კი ვაჭრობის გზით შემოდიოდა), იხმარებოდა და იმტვრეოდა კიდევაც, როდესაც ჯერ შოთას მიერ იწერებოდა და შემდეგ უკვე რამდენიმე თაობის ხელიდან ხელში გადადიოდა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. არარც ის იქნება გაზვიადებული თუ ვიტყვით, რომ ბევრი იმ ნივთთაგანი ჰკუთვნებია პოემის უშუალო მკითხველებსა და დამფასებლებს, მით უმეტეს, რომ — ქვემოთაც გვექნება საუბარი — წერა-კითხვა მრავალ მოქალაქეს შესძლებია იმხანად. ესეც არ იყოს, ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსანს“ თავიდანვე მრავალი მსმენელი ეყოლებოდა, შედარებით ნაკლებ მკითხველებს გარდა.

მაინც, რა არის ის მცირე ნივთიერი ძეგლები, რომელთაც ყველაზე უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხვად გვიჩენს არქეოლოგიური თხრა — სხვადასხვაგვარ ნამოსახლარში იქნება თუ თვით ნივთების წარმომქმნელ სახელოსნოთა ნაშთებს შორის, და რომელთა ნაკეთობის საერთოდ მაღალი ტექნიკური თუ მხატვრული დონე ეჭვმიუტანელია?.

უპირველეს და უმეტეს ყოვლისა გვაქვს ნაირნაირი ჯამ-ჭურჭლეული, რომლის დიდი ნაწილი დამტვრეულია, მაგრამ მაინც გვეძლევა საშუალება წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა ისინი სიმრთელისას, როდესაც იხმარებოდნენ სუფრაზე თუ მარანში, სადგომის დასამშვენებლად თუ საჭმელ სასმელის შესანახად. ძალიან მრავლად არის აგრეთვე საზეთე ჭრაქები, რომლებითაც სახლებს ინათებდნენ ხოლმე. ჭურჭელი უმთავრესად თიხისაა, მაგრამ ზოგჯერ — უფრო ფაქიზი დანიშნულებისათვის — მინისაც უკეთებიათ და უხმარიათ.

თიხის ჭურჭელი და სხვა ნახელავი (კერამიკა) საერთოდ, ჩვეულებისამებრ, არქეოლოგიური მონაპოვრის 90% მაინც შეადგენს, მეტს თუ არა. ამიტომ არქეოლოგთა მრავალი დაკვირვება და დასკვნა უმთავრესად სწორედ მას ემყარება. კერამიკის შესწავლას ისიც უწყობს ხელს, რომ მოგვეცა ორი მარჯვე შემთხვევა (თბილისში და დმანისში) სწორედ კერამიკული ანუ სათუნე სახელოსნოს ნაშთების მიკვლევა-გათხრისა. კერძოდ, თბილისში (300 არაგველის ბაღში) აღმოჩენილ სახელოსნოს, ქალაქის ზღუდეზე მიშენებულს, უმუშავნია XIII საუკუნეში და იგი მტრის ხელით დაღუპულა — საკმაოდ უეცრივ, თითქმის გაცხარებული მუშაობისას. ამის გამო საშუალება გვქონდა ჩაგვეხედა მეთუნე ხელოსანთა საქმიანობის ბევრ ისეთ კუნჭულში, რომელიც სხვა დროს უცნობი დარჩებოდა. გავეცანით 7 ქურის აღნაგობა-მოწყობილობას, ზოგიერთ ხელსაწყოს, ტექნოლოგიურ პროცესს, ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებს, მზა ნაწარმს, გადანაყარს. შევიტყვეთ, რადარანაირი ჭურჭელი თუ სამშენებლო კერამიკა უწარმოებიათ იმ სახელოსნოში და აგრეთვე — რაგვარი მინის ნახელავი, სადღაც იქვე მახლობლად. ამან გააადვილა სხვა, თუნდაც შორეულ განათხარებში შესაბამისი ნაწარმის გამოცნობა-დათარიღება და ზოგჯერ წარმომავლობის გარკვევაც, თბილელი ოსტატების „ხელის“ მიხედვით.

სახელოსნოში მრავლად აღმოჩენილი ნაწარმის დიდ უმეტესობას შეადგენდა წითელკეციანი მოჭიქული ჯამები, რომელთაც ხან თეთრ თიხაზე (ანგობზე) მრავალფერად მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული გამოსახულება ამშვენებდა, ხან — ანგობზედვე ამოღარულ-ამოკაწრული და მწვანე, ცისფერი თუ „ღვიძლისფერი“ (მოწითალო ყავისფერი) ჭიქურით დაფარული.

უმეტესად მოხატულობა შედგება ე. წ. „გეომეტრიული მოტივებისაგან“, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ჯამები (ჩანს სასმისად გამოყენებული), რომლებზედაც მკაფიო ხაზებით, გაბედული სტილიზაციითა და ოხდენილი ხშირად პირობითი შეფერადებით არის გამოხატული ესა თუ ის ცხოველი (ვეფხი, ლომი, შველი, ცხენი, კურდღელი) ფრინველი (მტრედი, მტაცებელი), ზღაპრული არსება (გვირგვინოსანი ქალის თავის მქონე ფრინველი), სიმბოლური „პირიმზე“ (მრგვალი ქალური სახე, ირგვლივ სხივოსანი), თორიან-ჩაფხუტიანი მეომარი და ა. შ. ასეთი ჯამები გვხვდება: თბილისში, დმანისში, რუსთავში, უჯარმაში, თელავში... გამოსახულების შინაარსი მეორდება, მაგრამ მაინც ყოველთვის გამოიცნობა არა მარტო სხვადასხვა ქალაქის

ხელოსანთა მხატვრული „სკოლები,“ არამედ თვით ერთსადაიმავე ქ[illegible] არსებული სხვადასხვა საწარმოო კერისათვის დამახასიათებელი რამდენიმენა-ირი იერი, რაც შემოქმედების ძალიან სასიამოვნო მრავალფეროვნებას ასახავს.

ჯამებს გარდა გვაქვს გარედან მოჭიქული ხელადები, დეკორაციული ქილა-ლარნაკები. არის აგრეთვე სამარილეები და თითქოს სამელნეებიც კი. ყოველი მათგანის ზედაპირი მეტ-ნაკლებ წარმოადგენს, აგრეთვე მხატვრული შემოქმედების (ნივთის შემკობა-დამშვენების) სარბიელს.

კერამიკის, თუნის ყველაზე უფრო სათუთსა და ძვირად ღირებულ სახეობას წარმოადგენს ნაირფერად მოჭიქული, თეთრკეციანი — ე. წ. ფაიანსი, რომელიც, ეტყობა ჩვენში თავდაპირველად გავრცელებულა უმთავრესად ირანული იმპორტის სახით. მაგრამ ახლა უკვე გარკვეულია, რომ თანდათანობით XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც, ქართველ ოსტატებს კარგად გაუმართავთ ფაიანსის წარმოების საქმეც, რისთვისაც ხელი შეუწყვია ადგილობრივ თეთრი თიხის საბადოების არსებობასაც. განათხარებში, შემოზიდულის მხარდამხარ, თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ქართული ფაიანსიც: უმთავრესად მომცრო დეკორაციული ჭურჭელი, სამარილეები და სხვ. დმანისის განათხარში თავი იჩინა სწორედ ფაიანსის წარმოების ნაშთებმაც.

ძალიან ბევრია მოუჭიქავი, მაგრამ თავისთავად მოხდენილად ნაკეთები ჭურჭელი — უმთავრესად კოკები, დოქები, ქილები, ქოთნები, ხელადები და სხ. მათშიც გამოირჩევა ზოგიერთი ფაქიზი სახეობა: პატარა, მოთეთროდ გამომწვარი, თხელი და მსუბუქი ჭურჭელი; შავწითელი საღებავებით მოხატული; წითელი წერნაქით დაფარული და ა. შ.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას კიდევ იმ მხატვრული კერამიკის შესახებ, მშენებლობას რომ ემსახურებოდა და ფართოდაც ყოფილა გავრცელებული იმჟამად. ეს არის სხვადასხვაფერად მოჭიქული (ზოგჯერ ყვავილის გამოსახულებით დამშვენებული )კრამიტი და ე. წ. შორენკეცები, რომლებიც საერო თუ საკულტო შენობათა კედლების შიდაპირის მოსართავად იხმარებოდა უმთავრესად.

მართალია, ცოტ-ცოტად გვხვდება, მაგრამ უთუოდ არის აღსანიშნავი ლითონის — ვერცხლისა და ბრინჯაო-სპილენძის — ჭურჭლეული თუ ჭრაქები. მათ შორის მეტადრე ყურადსაღებია ვანისქვაბების ნამონასტრევის თხრისას ამას წინათ აღმოჩენილი ვერცხლის სამი კარგად შენახული დეკორაციული თასი, რომლებსაც ზოგ რამეში გამოჰყოლია ანტიკური დროის, ჩვენში მრავლად წარმოდგენილი ასეთივე ჭურჭლის დამახასიათებელი ნიშნები.

კერამიკის შემდეგ მრავალრიცხოვანებით მეორე ადგილი უჭირავს მინის სხვადასხვა ნაწარმს — ჭურჭლეულსა და სამკაულს. ერთიცა და მეორეც ნამდვილად ჩვენშივეა ნაკეთები. ასე გადაჭრით მით უფრო ვაცხადებთ, რომ მცხეთის მეტ-ნაკლებ შორეულ მიდამოებში შესწავლილია მინის ორი სახელოსნოს ნაშთები, ხოლო ასეთივე რამ მინიშნებულია რამდენიმე სხვა ადგილასაც, თუმცა კი ჯერ არ გათხრილა.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ქართველი ქალების გასაოცარი სიყვარული ფერადი მინის სამაჯურებისადმი, რომლებიც მათ ხანდახან თითო ხელზე რამდენიმეც კი უტარებიათ, როგორც ჩანს, ზოგი მათგანი გლუვია, ზოგი

— გრეხილი, ზოგი — ჭდეული. ზოგი — დაკბილული. გვხვდება მწვანე, ცისფერი, ლურჯი, ყავისფერი, გაუმჭვირვალე შავი და ა. შ. იმ ხანებში მინის სამაჯური თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული სამკაული ყოფილა, მაგრამ ყურადსაღებია, რომ, მაგ. ჩრდილოეთის ქვეყნებში (კერძოდ, რუსეთში) მათ მხოლოდ ნაქალაქარებში ვხვდებით, ჩვენთან კი-ნასოფლარებშიც. სამაჯურებზე ბევრად ნაკლებ, მაგრამ მაინც გვხვდება მინისავე ბეჭდები და მძივებიც.

მინის ჭურჭელიც თითქმის ყველა განათხარში გვაქვს, აგრეთვე სხვადასხვა ფერის და მოყვანილობისა. მასში გამოირჩევა: მომცრო დეკორაციული სასმისები (ყანწისებრიც, ყურიან-ქუსლიანიც), ნელსაცხებლისა თუ სუნელი სითხეების მოსათავსებელი, საწამლე და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ზოგი მათგანი სრულიად აუცილებელ ინვენტარს შეადგენდა, ქალაქელებისათვის მაინც.

რაკი მინაზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ დიდრონ შენობათა (მეტადრე სასახლეთა) ნაშთების თხრისას ყოველთვის გვხვდება ბრტყელი და მოსქელო, ხშირად ამობურცული სახეებით შემკული ნატეხები მინისა, რომელიც თავის დროზე სარკმლებზე ყოფილა აფარებული. ეს გარემოება გარკვევით გვიშუქებს გამორჩეულ ნაგებობათა მოწყობა-გამართვის წესის კიდევ ერთ, ჩანს, აუცილებელ მხარეს, — შემინული სარკმლების კეთებას და საამისოდ ხშირად მხატვრულად დამშვენებული შუშის გამოყენებას.

დიაცთა სამკაულის შესახებაც უკვე საკმაოდ სრული წარმოდგენა გვექმნება. გარდა ზემოაღნიშნული, მინის სამაჯურ-ბეჭდებისა, განათხარებში (კერძოდ, XII-XIII საუკუნეთა სამარხებშიც) საკმაოდ მოიპოვება სამკაულის ისეთი ძველისძველი სახეობის ნიმუშები, როგორიც არის ყელსაბამთა შემადგენელი მძივები, მძივსაკიდები, ავგაროზები და ზოგჯერ აგრეთვე ლითონის ფული (რომელიც საგრძნობლად გვინამდვილებს ხოლმე თანმხლები მონაპოვრების ხნოვანებას). მძივები ან გამოთლილია სხვადასხვა ფერადი თუ გამჭვირვალე ქვისაგან, ან მინისაა, ან ფაიანსისა, ან სხვა რამ მასალისა. გავრცელებულია აგრეთვე საყურეები და ცალკეული გულსაკიდები, რომელთა შორისაც ვხედავთ (რუსთავსა და დმანისში) ოქროსა და ვერცხლისაგან ნაკეთებ, რთულსა და მოხდენილ სამკაულებს. მეტადრე იქცევს ყურადღებას დმანისში ახლახან აღმოჩენილი განძი ოქრო-ვერცხლის ამგვარი თუ სხვა სამკაულისა (XIII ს.), რომლის ზოგი ნიმუში აღნაგობითა და მხატვრული იერით ეხმაურება შორეულ წინაპრებს — ჯერ კიდევ ანტიკური საქართველოს სამარხებში (კლდეეთს) აღმოჩენილ სამკაულებს. რუსთავულ მონაპოვარში გამოერევა ჩრდილოეთის ქვეყნებში დიდად გავრცელებული სახის ერთი ჭვირული საყურე, რაც, ეტყობა, უნდა გვანიშნებდეს გარკვეულ ეკონომიურ-კულტურულ ურთიერთობას.

ნაკლებ შეძლებული ქალები ბრინჯაოსა თუ სპილენძის სამკაულს სჯერდებოდნენ და ხშირად ეს უკანასკნელი ძალიან ჰგავს ოქრო-ვერცხლის ნიმუშებს. ესეც ძველი, ჯერ კიდევ ანტიკური ხანისათვის დამოწმებული მოვლენაა საქართველოს არქეოლოგიაში. აღსანიშნავია ბრინჯაო-სპილენძის სათითე, უთვალო ბეჭდები, რომლებზედაც ზოგჯერ ესა თუ ის გამოსახულებაა ამოკვეთილი,

ტანსაცმელ-ფეხსაცმელისაგან თითო-ოროლა ლითონის (უფრო სპილენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის) აბზინდა თუა შემორჩენილი, ასე რომ ამ მხრივ არქეოლოგია თით[illegible]რას გვეუბნება.

ხელსაწყოებიდან წარმოდგენილია: დანები და მათი ტარის დამამშვენებელი ძვლის დაჭრელებული ფირფიტები; ცულები; თოხი; წალდები; ასტამი (ცომის საფხეკი); სალესავები; ქვიჯები და ლითონის სანაყები; თითისტარის კვირისთავები; სატრიალებელი ხელსაფქვავები, წყვილი დოლაბი (რუსთავში, არხის პირას — ჩანს, ნაწისქვილარზე — აღმოჩენილი); მოჭიქული კერამიკისა და მინის წარმოებაში ნახმარი ზოგიერთი ხელსაწყო (კერძოდ, სასწორი, საბერავი მილის ნაწილი და სხვ.). და ა. შ.

საომარი საჭურველის ნიმუშები ჯერჯერობით ცოტა გვაქვს, თუმცა კი მეტწილად ციხე-ქალაქთა ნაშთები ითხრება. ეს არის რამდენიმე ხმალი, ნაირნაირი შუბისპირი, მაჟარო და ისრისპირები (მათ შორის ბოძალებიც, ე. ი. განშტოებული).

ძალიან მრავლად ჩნდება ლითონის (უმთავრესად სპილენძის, ზოგჯერ ვერცხლის, მხოლოდ ერთხელ — ოქროს), ფული, რომელიც ხშირად გულდაგულ დაფლული და ველარ გამოყენებული განძების სახით არის წარმოდგენილი. სწორედ ეს ნაირნაირი მონეტებია (უმეტესწილად ქართული), რომ გვიწყობს ხელს ფენების დათარიღებაში.

რუსთავში აღმოჩენილია რამდენიმე „საეკლესიო განძიც“ — მონეტების ან მოჭიქული ჭურჭლის თანხლებით დაფლული ჯვრები (ვერცხლისა, და ბრინჯაოსი), საგანგებო ჯამები და სხვ. ეს საგნები-მეტადრე ჯვრები — ყურადსაღები და თავისებური შენამატია მუზეუმებამდე ცოცხალი ტაძრების მეშვეობით მოღწეული საეკლესიო ინვენტარის კოლექციებისა.

სრული იმედია, რომ შემდგომი გულმოდგინე თხრა დიდად მოგვიმრავლებს და გაგვიმრავალფეროვნებს ნივთიერი მონაპოვრის ზემოთ განხილულ ჯგუფებს.

წერილის დასასრულ კი საგანგებოდ უნდა შევეხოთ არქეოლოგიური მონაპოვრის ერთ განსაკუთრებით შინაარსიან წყებას — წარწერილ საგნებს, ზემოთ რომ გაკვრით უკვე აღვნიშნეთ. მათ შორის არის რამდენიმე საფლავის ქვა (რუსთავში აღმოჩენილი), რომლებზედაც შემორჩენილია მოკლე წარწერათა ნაწყვეტები: „ესე სამარხოი...“, „ესე საფლავი...“ და ა. შ. მანამდე ეგონათ, რომ XI-XIII საუკუნეებში საფლავებზე ასეთი ქვების დადგმა არ იცოდნენ და მხოლოდ გვიანფეოდალურ ხანაში დაიწყეს. ახლა კი გამოირკვა, რომ წარწერიანი სტელების აღმართვის წესი (ჩვენში აგრეთვე ანტიკური ხანიდან მომდინარე) ყოფილა რუსთაველის ხანაშიც, და თან — ჩვეულებრივ მოქალაქეთა საფლავების მიმართაც.

ყურადღებას იქცევს თვით დამწერლობაც — ნამდვილად მოხდენილი და დახვეწილი ასომთავრული, ნაცადი და გაბედული ხელით გამოყვანილი. იმავე დამწერლობის ნიმუშებს, ოღონდ სულ სხვადასხვა ხელს ვხედავთ ისეთ საგნებზე, როგორიცაა: თიხის პატარა ხელადა (ორჯერ აწერია „თეფალე“ — ჩანს, პატრონის სახელი); კრამიტის ნატეხი (გამოწვამდე ამოღარული წარწერის ნაწყვეტი); კირის ლესილის ნაშთი (რამდენიმე ასო); ქვევრის და სხვა ჭურჭლის პირთა ნატეხები (თითო-ოროლა ასო); მოჭიქული ჯამის ძირი (ასო „გ“ —

ხელოსნის სახელის, „გიორგის“ დასაწყისი?), და სხვ. ზოგიერთი ტაძრის შესწავლა-თხრისას დაგროვილია ათეულობით კრამიტი, რომლებზედაც გამოწვამდე რელიეფურად გამოყვანილია ორ ორი ან სამ-სამი ასო — დაქარაგმებული წარწერები(შესაძლოა, იმ დიდ პირთა ვინაობის აღმნიშვნელი, რომელთაც ეკუთვნოდათ სათანადო სახელოსნოები).

რა თქმა უნდა, არც ერთი ეს წარწერა არ გაკეთებულა საგანგებოდ განსწავლული მწიგნობრისა თუ სარწმუნოების მსახურის ხელით. პირიქით, აქ უნდა ვიგულისხმოთ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ის ხელოსნები, რომელთაც კრამიტი თუ ჯამი გამოუწვავთ და ა. შ. ეს კი ორ რასმე მოასწავებს: ა) საერთოდ წერა-კითხვის ცოდნა ნამდვილად ფართოდ ყოფილა გავრცელებული მოსახლეობაში (წინააღმდეგ ზოგიერთი თანამედროვე „მკვლევარის“ დაჟინებული მტკიცებით რუსთველის ხანაში ეს მხოლოდ უმაღლესმა დიდკაცობამ იცოდაო); ბ) ასომთავრული სრულიადაც არ ყოფილა მარტოოდენ საზეიმო-საეკლესიო დამწერლობა, როგორც ერთ ხანს ფიქრობდნენ დიდი მეცნიერებიც კი: იგი საყოველთაო-ეროვნული ჩანს.

აი რას გვეუბნებიან ის მცირე არქეოლოგიური ძეგლები, რომლებსაც რუსთაველის ხანის ნამოსახლართა და სამაროვანთა მეცნიერული თხრა ამოამზეურებს ხოლმე. მათ გადაჭრით შეგვიძლია ვუწოდოთ თვით რუსთაველისა და თან მისი პოემის შექმნისა და პირველადი გავრცელების „თანადამხვდურნი“. ეს კი ერთისამად ზრდის მათს შემეცნებით ღირებულებასა თუ, ასე ვთქვათ რომანტიკულ მიმზიდველობას.

1966. VIII

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძე

# ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე

ნაქალაქარ დმანისს, რომელიც ვულკანური წარმოშობის კონცხზეა გაშენებული მდინარეებს მაშავერასა და ფინეზაურს შორის, სამხრეთიდან აკრავს გარეუბნის ვრცელი სამაროვანი. ეს არის მეტად საინტერესო და შინაარსიანი არქეოლოგიური ძეგლი, მის ტერიტორიაზე გვხვდება, როგორც ქრისტიანობამდელი, ისე ქრისტიანული და მაჰმადიანური სამარხები (ეს უკანასკნელები XIV საუკუნიდან). სამაროვანი საინტერესოა იმითაც, რომ მან შემოგვინახა შუა საუკუნეების როგორც ქართული, ისე არაბული და სომხური მემორიალური ძეგლები, საფლავის ქვები, სტელები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წარწერები; შემოგვინახა აგრეთვე არქიტექტურული ძეგლებიც — ქრისტიანული პატარა ეკლესიების ნანგრევები და მუსლიმური მავზოლეუმების ნაშთები.

გარეუბნის სამაროვანმა დიდი ხანია მიიპყრო სხვადასხვა სპეციალისტთა და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, არქეოლოგთა ყურადღება. ამით აიხსნება, რომ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია დმანისის გარეუბნის სამაროვანს სისტემატურად თხრის და სწავლობს. ამის შედეგად აღმოჩენილია სხვადასხვა ხასიათის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლები და მასალები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია წარწერებს — ქართულს, სომხურს, არაბულს. ამჯერად მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ მაჰმადიანურ მავზოლეუმზე, რომელიც დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა 1970-1971 წლებში და რასაც მეტად საინტერესო შედეგები მოჰყვა.[1]

დმანისის გარეუბნის სამაროვანზე შემორჩენილია ორგვარი ტიპის მუსლიმური მავზოლეუმები: ერთი ნაწილი აგებულია დაუმუშავებელი ნატეხი ქვით, თავისი გეგმით კვადრატულია (ზომ. 4,95×4,95 მეტ., სიმაღლე 6 მეტ-დე) და გადახურულია ტრომპებზე დაყრდნობილი თაღით. მავზოლეუმს აქვს კარი და ორი სარკმელი. მეორე ტიპის მავზოლეუმები ნაგებია ბრტყელი კვადრატული აგურით (ზომ. 23×23×5 სმ.). ასეთი მავზოლეუმებიც კვადრატული ფორმისაა (ზომ. 3,85×3,85 მ.) და ესენიც ტრომპებზე დაყრდნობილი თაღით ის გადახურული. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველ ხელმძღვანელს ლ. მუსხელიშვილს ამ ძეგლების შესახებ მოკლე ცნობები (და სურათებიც) მოეპოვება თავის საანგარიშო ნაშრომში,[2] მაგრამ მას ეს ძეგლები არ გაუთხრია, არ შეუსწავლია. ამ ძეგლების გათხრა პირველად ჩვენმა ექსპედიციამ დაიწყო. სრულებით ცხადი იყო, რომ ეს მავზოლეუმები წარმოადგენდნენ თავისი დროის წარჩინებულ მაჰმადიანთა სამარხეულ ძეგლებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დმანისის ვრცელ სამაროვანზე მავზოლეუმების რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელია.

დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ზემოხსენებულ წლებში გათხარა ოთხი მავზოლეუმი, რომელთაგან ორი ადრევე გაძარცული აღმოჩნდა და ამის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. I, სურ. I — „კვადრატული მავზოლეუმი № 3, მარცხნივ მოჩანს ცილინდრული მავზოლეუმი №4-ის ნაწილი.

Квадратный мавзолей № 3, с левой стороны часть цилиндрического мавзолея № 4.

ტაბ. I, სურ. 2. — ცილინდრული მავზოლეუმის №4-ის ნაშთები, მარცხნივ მოჩანს გალავნის ნაწილი.

Развалины цилиндрического мавзолея № 4, с левой стороны просматривается часть ограды.



გამო ამ მავზოლეუმების გათხრას მეცნიერებისათვის არაფერი მოუცია: ერთ მათგანში ჩონჩხიც კი არ აღმოჩნდა, ხოლო მეორეში თუმცა ერთი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა, მაგრამ არავითარი ინვენტარი არ გააჩნდა. ამიტომ მათ შესახებ ჩვენ მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ.

საინტერესო აღმოჩნდა გათხრა სამაროვანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ნაქალაქარისაკენ მიმავალ გზას ემიჯნება დასავლეთის მხრიდან. აქ, მიწის ზედაპირზე მოჩანდა ქვითკირით ნაგები მავზოლეუმის „გუმბათის“ თავი; ამ მავზოლეუმის $^3/_4$ მიწაში იყო ჩამჯდარი. №3 მავზოლეუმის თალი კარგად მოჩანდა ჯერ კიდევ გათხრების დაწყებამდე. ამ ადგილას ჩატარებულმა გათხრებმა, მესამე მავზოლეუმის უშუალო სიახლოვეს გამოაჩინა კიდევ ერთი, რიგით №4 მავზოლეუმის ნანგრევები. თუ №3 მავზოლეუმი ნატეხი ქვით იყო აშენებული და გეგმით კვადრატულ ნაგებობას წარმოადგენდა (ზომ. 3,3×3,1 მეტ), მეოთხე მავზოლეუმი მრგვალი, ცილინდრული ფორმის ნაგებობა გამოდგა (d-6 მ.). გათხრების შედეგად გამოირკვა რომ მრგვალი მავზოლეუმის საძირკველი ამოყვანილი ყოფილა ნაგლეჯი ქვითა და კირით, ხოლო ქვის საძირკველზე ამოუყვანიათ ბრტყელი, კვადრატული აგურით (ზომ-23,5×23,5×4,4 სმ.) აშენებული კედლები. აგურის კედლების ქვედა ნაწილი შერჩენილი იყო 40-50 სმ. სიმაღლეზე. საძირკველს ზემოთ მავზოლეუმის კედლების სისქე 1,1 მ. უდრიდა.

ორივე მავზოლეუმს შემოვლებული ჰქონდა ნატეხი, გაუთლელი ქვით აშენებული ოთხკუთხა გალავანი (ზომა 12,0×9,3 მ.). ამ გალავნის ცენტრალური ნაწილი ეჭირა მრგვალ მავზოლეუმს, ხოლო ქვის კვადრატულ მავზოლეუმს გალავნის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. გათხრებმა გვიჩვენა, რომ ქვის გუმბათიანი მავზოლეუმი გაცილებით ღრმად იჯდა მიწაში მრგვალ მავზოლეუმთან შედარებით და, ამავე დროს, მრგვალი მავზოლეუმის აგურის კედელი არა მარტო ებჯინებოდა ქვის გუმბათოვან მავზოლეუმს, არამედ რამდენადმე ქვის მავზოლეუმის „გუმბათზე“ გადადიოდა. ეს ყოველივე იმის მანიშნებელი იყო, რომ მრგვალი მავზოლეუმი, ქვის კვადრატულ მავზოლეუმთან შედარებით, ახალი ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

მეტად საინტერესო გამოდგა მრგვალი მავზოლეუმის გათხრა. მრგვალი მავზოლეუმის შიგნით 0,3 — 0,4 სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან აღმოჩნდა შესანიშნავად გათლილი საფლავის 13 ქვა, დალაგებული ორმწკრივად. მავზოლეუმის აღმოსავლეთი ნახევარი ეჭირა 1-7 საფლავების ქვებს, ხოლო დასავლეთი ნახევარი 8-13 ქვებს (იხ. გეგმა). ქვები სხვადასხვა ზომისა იყო (მაქსიმ. ზომ. 2,65×0,32 მ.), მინიმალური 0,42×0,1 მ.), რაც მიცვალებულთა ასაკობრივი განსხვავების მანიშნებელია. ქვების დიდი ნაწილი სწორკუთხოვან კვარცხლბეკებზე იყო დადგმული (კვარცხლბეკის მაქსიმალური ზომა — 3,4 მ×0,58 მ., მინიმალური — 1,4 მ×0,55 მ.). წარწერიანი ქვების კვარცხლბეკები საგანგებოდ იყო გათლილი და ამასთანავე საფლავის ქვების მყარად დაყენებისათვის დაბალი და გრძელი ფოსოები ჰქონდათ ამოღებული, რომლებშიც ჩადგმული იყო საკუთრივ საფლავის ქვები №№2, 3, 9, 10, 13. დანარჩენი საფლავის ქვების (№№1, 4, 5, 6, 7, 8, 11) კვარცხლბეკები ასე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. II. სურ. 1. — მავზოლეუმი №4, საფლავის ქვები არაბული წარწერებით.

Мавзолей № 4, могильные плиты с арабскими надписями.

ტაბ. II. სურ. 2. მავზოლეუმი №4, სამარხი №9, საფლავის ქვა არაბული წარწერით.

Мавзолей № 4, погребение № 9, могильная плита с арабской надписью.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. III. სურ. I. — საფლავის ქვ რელიეფური სიმბოლური გამოსახულებებით.

Могильная плита с рельефными символическими изображениями.

ტაბ. III. სურ. 2 — მავზოლეუმი № 4. სამარხების პრეპარაციისა და ფიქსაციის პროცესი.

Мавзолей № 4, процесс препараций и фиксаций погребении.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტაბ. IV. სურ 1 — დმანისის გარეუბნის სამაროვნი მავზოლეუმები №3 და №4 სამარხებით. გეგმა და ჭრილი.

Мавзолей № 3 и № 4 с погребениями из пригородного могильника городища Дманиси. План и разрез.

გულდაგულოდ არ იყო გამოთლილი, არც ფოსოები ქონდათ ამოკვეთილი, მათი ნაპირებიც შემოუთლელი და უსწორ-მასწორო იყო. № 12 ქვას [illegible]ბეკი სულაც არ გააჩნდა.

საფლავების ქვების უმეტესობა წახნაგოვანი და ორფერდა იყო, მაგრამ ყველა ქვა როდი იყო ერთნაირი ოსტატობით გათლილი; განსაკუთრებით გულმოდგინედ და ოსტატურად იყო გათლილი ის ქვები, რომელთაც არაბული წარწერები გააჩნდათ (№№ 2, 3, 4, 9, და 10). შესანიშნავად იყო გათლილი აგრეთვე № 13 საფლავის ქვა, რომელსაც წარწერა არ ჰქონია. მავზოლეუმში აღმოჩენილი წარწერიანი ქვები სხვადასხვა ზომისაა და წარწერებიც მათ სხვადასხვა სიბრტყეზე აქვთ გამოქანდაკებული.

ზემოხსენებული წარწერიანი 5 საფლავის ქვის გარდა საინტერესოა №6 საფლავის ქვა, რომელსაც ჰორიზონტალური ნაწილის ზედაპირი დანარჩენი ქვებივით ორფერდად აქვს გათლილი. ამ ქვის მარჯვენა წახნაგზე, თავის მხარეს ამოკაწრულია არაბული წარწერა, მაგრამ მისი დიდი ნაწილის ცალკეული ასოების ამოკითხვა ხერხდება, საფლავის ეს ქვა ყურადღებას იქცევს თავისი რელიეფური სიმბოლური თუ სიუჟეტური გამოსახულებებით. გამოსახულებები განაწილებულია ქვის ცერად ჩამოთლილ მარჯვენა ფერდზე და, აგრეთვე ქვის ვერტიკალურ მარჯვენა წახნაგზე.

მარჯვენა ფერდზე კარგად გაირჩევა ფარშევანგისა და მზის დისკოს გამოსახულება. ამავე სიბრტყეზე ორი სხვა გამოსახულებაა, რომელთა განსაზღვრა ჩვენ გვიძნელდება. წახნაგის ქვედა, ვერტიკალურ სიბრტყეზე კარგად ჩანს ორკუზიანი აქლემის გამოსახულება, რომელიც საბელით არის დაკავშირებული მის წინ მდგარ სახედართან (თუ ცხენთან); იქვე სახედარს ზემოთ ჩანს დოინჯშემოყრილი მამაკაცის ფიგურა წოწოლა ქუდით, მისგან მარჯვნივ კარგად მოჩანს კიდევ ერთი სტილიზებული გამოსახულება, რომლის გაშიფრვა ჯერჯერობით არ ხერხდება. საერთოდ ამ ქვაზე ამოჭრილი გამოსახულებანი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ საფლავის ქვების მეტი ნაწილი მომწვანო ფერისაა (№№1, 5, 8, 9, 10, 11, 12 და 13), ხოლო ორი დიდი წარწერიანი საფლავის ქვა №№2 და 3 ბაცი ყავისფერია; როგორც პეტროგრაფიულმა ანალიზმა გამოარკვია ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ადგილობრივი ტუფი, ოღონდ სხვადასხვა ჯურისა.

სათანადო ფიქსაციის შემდეგ ყველა საფლავის ქვა გამოვიტანეთ მავზოლეუმიდან და შემდეგ განვაგრძეთ გათხრა. გათხრის პროცესში, სანამ ზემოაღნიშნული საფლავის ქვების შესაბამისი მიცვალებულების სამარხების დონეზე ჩავიდოდით, 1-1,3მ. სიღრმეზე მრგვალი მავზოლეუმის გარეთ, მის კედელსა და გალავნის კედელს შორის ფართობზე აღმოჩნდა რამდენიმე მიცვალებულის ჩონჩხი, როგორც მავზოლეუმის სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით. ამ მიცვალებულებს მიწის ზედაპირზე საფლავის რაიმე ძეგლი არ ჰქონიათ, და მათი აღმოჩენა არ იყო მოსალოდნელი. ჩონჩხების მდებარეობა სხვადასხვანაირი იყო, ნაწილი მიცვალებულისა გულაღმა, გაშოტილი ჩაუწვენიათ, თავით დასავლეთისაკენ, პირით სამხრეთისაკენ. ერთი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იყო ჩასვენებული და ქვედა კიდურები ნახევრად მოხრილი ჰქონდა. სამარხებში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. V, სურ. 1 —მავზოლეუმი №4, სამარხები პრეპარაციის პროცესში

Мавзолей № 4, погребения в процессе препарации.

აღმოჩნდა ფიცრების ნაშთები. ინვენტარი მიცვალებულებს არ გააჩნდათ. სრულიად ცხადი იყო, რომ ეს მიცვალებულები დაუკრძალავთ უფრო გვიან, მავზოლეუმის მიცვალებულებთან შედარებით.

მავზოლეუმის საფლავის ქვების შესაბამისი მიცვალებულთა სამარხები აღმოჩნდა საფლავის ქვების დონიდან 1,5მ — 1,7მ. სიღრმეზე.

სამარხების ნაწილი გადახურული იყო დიდი ფიქალი ქვით ან რამდენიმე ფიქალი ქვით. მაგ. სამარხები № 5, 9, 10 და სხვ. ერთი სამარხი № 13 გადახურული იყო ბრტყელი კვადრატული აგურებისაგან შეკრული ისრული თაღით, რომელიც ზემოდან გადალესილი იყო დუღაბით.

სამარხების გადახურვის აღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათი ერთი ნაწილი ამოშენებული იყო ბრტყელი კვადრატული აგურით (მაგ. სამარხები №№3, 5, 9, 10 და 13, ხოლო სამარხების ნაწილს გვერდზე ჩაყენებული ქონდა ფიქლების მოზრდილი ნატეხები.

პრეპარაციის შემდეგ გამოჩნდა, რომ მიცვალებულები ჩაუწვენიათ გულაღმა, გაშოტილად, თავით დასავლეთისაკენ, პირით სამხრეთისაკენ, მიცვალებულებს მარჯვენა ხელი გაჭიმული ჰქონიათ სხეულის გასწვრივ, ხოლო მარცხენა, იდაყვში მცირედ მოხრილი იყო და ხელის მტევნები მუცლის არეში ეწყოთ. ერთ შემთხვევაში მიცვალებულს ხელები მოხრილი ჰქონდა და მკერდზე ეწყო, მაგრამ ამ მიცვალებულს პირი მაინც სამხრეთით ჰქონდა მიტრიალებული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 13 ჩონჩხიდან რამდენიმე ბავშვებისა და მოზარდების იყო (მაგ. სამარხები №4, 9, 10).

ინვენტარი, საზოგადოდ მიცვალებულებს არ გააჩნდათ, მაგრამ ზოგიერთ



ტაბ. V. სურ. 2 — ვერცხლისა და ოქროს საყურეები სამარხებიდან.

Серебряные и золотые серги из погребении.

სამარხში მაინც აღმოჩნდა სამკაული, მაგ. №5 სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის წყვილი საყურე, რომელთა რგოლების ბოლოები გველების თავების გამოსახულებას წარმოადგენდნენ. № 6 სამარხში კი ბრინჯაოს მავთულის პატარა ბეჭედი.

ზემოხსენებული სამარხების დონეზე მავზოლეუმში აღმოჩნდა კიდევ 3 სამარხი, რომელთაც არ ჰქონდათ საფლავის ქვები. ერთი ჩონჩხი აღმოჩნდა №7 სამარხის მახლობლად, მეორე №13 სამარხის გვერდით, მავზოლეუმის ჩრდილო ნაწილში, ხოლო მესამე №8 სამარხის მახლობლად, მავზოლეუმის სამხრეთ ნაწილში.

ამ სამარხების დონეზე ნაყარ მიწაში აღმოჩნდა ოქროს მავთულის ცალი საყურე, რომლის ვერტიკალურ ღეროზე მარგალიტის (?), ერთი პატარა მძივია წამოცმული. სარდიონის ერთი ბიკონუსური მძივი აღმოჩნდა №7 სამარხში.

ექსპედიციამ გაასუფთავა აგრეთვე ტრომპებიანი მავზოლეუმი №3, რომლის იატაკიც ქვითკირით იყო მოლესილი. მავზოლეუმს სამხრეთ კედელში გაკეთებული აქვს დიდი ნიშა, იატაკის ცენტრში ჩაჭრილი იყო მოგრძო თხრილი, რომელიც დუღაბით იყო ამოლესილი. მავზოლეუმში მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩენილა.

ამ ფრიად საინტერესო ძეგლების კომპლექსის დათარიღება არ წარმოადგენს სიძნელეს იმ ბედნიერი შემთხვევის გამო, რომ მრგვალ მავზოლეუმში, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოჩნდა წარწერიანი საფლავის ქვები. დმანისის არაბულწარწერიანი ქვების გაშიფრვასა და შესწავლაზე იმუშავა არაბისტმა ც. კახიანმა. ამ წარწერების შესწავლის შედეგად კარგად არის დადგენილი იმ პირთა ერთი ნაწილის გარდაცვალების თარიღები, რომლებიც აღნიშნულ მავზოლეუმში დაუკრძალავთ, დადგენილია აგრეთვე მათი ვინაობაც.

სამარხები, როგორც ეს კარგად ირკვევა წარწერებით, მიეკუთვნება XIV საუკუნეს და მაშასადამე ამავე საუკუნით უნდა დავათარიღოთ თვით მრგვალი მავზოლეუმიც. რაც შეეხება მეორე, ქვის მავზოლეუმს, რომელიც მრგვალ მავზოლეუმთან შედარებით უფრო ღრმად მდებარეობს (დონეებს შორის განსხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაება 1,9 მ უდრის), უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ტრომპებიანი მავზოლეუმი, მრგვალ მავზოლეუმზე ადრე უნდა იყოს აშენებული; მაგრამ რადგან ორივე მავზოლეუმი ერთ გალავანშია მოქცეული და ერთი კომპლექსის ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ ტრომპებიანი მავზოლეუმის აშენების თარიღი დიდად არ უნდა იყოს დაშორებული მრგვალი მავზოლეუმის აშენების თარიღისაგან, იგი შესაძლებელია XIII საუკუნის მიწურულის ნაგებობას წარმოადგენს.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მხოლოდ დაიწყო დმანისის მუსლიმური მავზოლეუმების შესწავლა, მივიღეთ საკმაოდ საინტერესო შედეგები.

არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების შედეგად ირკვევა, რომ შუასაუკუნეების დმანისში უშენებიათ როგორც ქვის, ისე ბრტყელი ოთხკუთხა აგურის მავზოლეუმები, თუ აქამდე ზედაპირულად შემორჩენილი მავზოლეუმების ნაშთების მიხედვით მუსლიმური მავზოლეუმები ოთხკუთხა ნაგებობა ჩანდა, რომლებიც თაღით იყო გადახურული (თაღი თავის მხრივ ტრომპებზე იყო დაყრდნობილი), ამიერიდან ირკვევა, რომ მავზოლეუმები მრგვალი გეგმისაც ყოფილა. გათხრების შედეგად ჩანს აგრეთვე, რომ მავზოლეუმები წარმოადგენდნენ არა მარტო ერთი რომელიმე წარჩინებული პირის ძეგლს, არამედ ყოფილა კოლექტიური, საგვარეულო მავზოლეუმებიც. ჩვენ მიერ გათხრილ, აგურით ნაგებ მრგვალ მავზოლეუმში სხვადასხვა ასაკისა და სქესის პირთა დაკრძალვა იმის მანიშნებელი შეიძლება იყოს, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს საგვარეულო საძვალესთან, რომელშიაც, შესაძლებელია, დაკრძალულნი იყვნენ ერთ ოჯახის, ერთი გვარის წევრები.

მრგვალი მავზოლეუმის შიგნით და მის გარშემო ფირუზისფერი შორენკეცების მრავალრიცხოვანი ნიმუშებისა და ფრაგმენტების აღმოჩენა იმის მანიშნებელია, რომ მავზოლეუმი შიგნიდან მოპირკეთებული უნდა ყოფილიყო ფირუზისფერი შორენკეცებით.

საფლავის ერთ ქვაზე (№ 6) აქლემის, სახედრისა (თუ ცხენის?) და მამაკაცის რელიეფური გამოსახულება, შესაძლებელია სიმბოლურად მიგვითითებდეს იმ გარემოებაზე, რომ აქ დაკრძალული იყო დმანელი დიდვაჭარი, რომელიც აქლემების ქარავნით ეზიდებოდა საქონელს.

თვით ის ფაქტი, რომ მიცვალებულები დაუკრძალავთ საგანგებო მავზოლეუმში, რომლის კედლებიც მოჭიქული შორენკეცებით უნდა ყოფილიყო მოპირკეთებული, იმაზე მიგვითითებს, რომ ეს ნაგებობა თავისი დროის შეძლებული და გავლენიანი ფენების წარმომადგენლებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

ამას გარდა, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მოპოვებულია ახალი მასალები, სამარხთა სტრუქტურის, მუსლიმანი მიცვალებულების დაკრძალვის წესისა და ზოგჯერ მათი ინვენტარის შესახებაც.

---

1. ამ უბანზე 1970 წელს გათხრას ხელმძღვანელობდა საქართველოს სახ. მუზეუმის მეცნ. თანამშრ. მ. სინაურიძე, 1971 წ. ამ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრ., არაბისტი ც. კახიანი.

2. ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა". თბ., 1938, გვ. 431-434.

3 წარწერების გაშიფვრის შედეგები თავაზიანად გაგვაცნო ც. კახიანმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ მირიანის ძე ჯაფარიძე

# კლდეეთის სამაროვანი და დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ძეგლების შესწავლის საკითხი.

დასავლეთ საქართველოს (ეგრისის) მატერიალური კულტურული დონის შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიული სარაპანის-შორაპნის თემში სოფ. კლდეეთში (ზესტაფონის რ-ნი) 1941 წელს შემთხვევით აღმოჩენილ სამაროვანს, რომლის შესწავლა მიუხედავად სამამულო ომის მძიმე დღეებისა საგანგებო ექსპედიციას დაეკისრა.[1] ექსპედიციის მიერ უაღრესად მძიმე პირობებში გათხრილი 6 სამარხის ინვენტარი, შემთხვევით აღმოჩენილ მასალებთან ერთად, დღემდე შეუნელებელ ინტერესს იწვევს და არაერთხელ იქცა სხვადასხვა მკვლევართა მსჯელობის საგნად.

კლდეეთის სამაროვანი, შეიძლება ითქვას, გვიანანტიკური ხანის ეგრისში მიკვლეული ერთ-ერთი პირველი სამაროვანია, სადაც მეტნაკლები სიზუსტით დადგინდა დამარხვის წესი; მიცვალებულთა ძვლების ცუდი დაცულობის მიუხედავად დაკრძალვა, როგორც ჩანს, ჩვეულებრივ ორმოსამარხებში წარმოებდა, ამასთან ადამიანებთან ერთად დაკრძალულნი აღმოჩნდნენ ცხოველებიც (ცხენი და სხვ.). კლდეეთის სამარხებმა, არმაზისხევის შემდგომ, პირველად წარმოაჩინეს პოლიქრომული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები, სხვადასხვა სამკაული; ლითონის, მინისა და თიხის ჭურჭელი, მრავალრიცხოვანი მონეტები და სხვ. იმთავითვე ეს სამარხები წარჩინებულთა წრისადმი იქნა მიკუთვნებული. მაგრამ გამთხრელი ხაზგასმით აღნიშნავს სამარხებში დაკრძალულთა ინვენტარის ზოგ სხვაობაზე, რითაც მათი მფლობელნი განსხვავდებიან, როგორც არმაზისხევის, ასევე ბორში დაკრძალულთაგან. აკად. ს. ჯანაშიაც ვარაუდობდა, რომ აქ შეიძლება საქმე გვქონდეს არა დიდი რანგის ერისთავის, არამედ წარჩინებულის გვართან. უაღრესად მნიშვნელოვანია, მისივე შემდეგი მოსაზრება, გამოთქმული აღმოჩენებისთანავე:“ ...კლდეეთის ისტორიული ძეგლები საშუალებას გვაძლევენ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ კულტურული ვითარება, ყოფა-ცხოვრება, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობა და საგარეო ურთიერთობანი საქართველოს ერთი უძველეს ქალაქთაგანის, შორაპნისა და შორაპნის თემისა, დიდად მნიშვნელოვანია გარემოება, რომელიც ცხადყოფს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს საქართველოს ტერიტორიაზე, ერთი ადგილობრივი კულტურაა გაბატონებული: ბორისა და კლდეეთის ძეგლები მჭიდრო ნათესაობაშია მცხეთა-არმაზის ძეგლებთან. არანაკლებ საყურადღებოა მეორე თვალსაჩინო გარემოება: ქართული ეროვნული კულტურა, უკვე იმ დროს მაღალ საფეხურზე დგას“.[2] აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კულტურული ერთიანობის ნიმუშად განიხილავდა გ. ლომთათიძეც კლდეეთის ძეგლებს.[3]

კლდეეთის და მისი ძეგლების მნიშვნელობა იმითაც იზრდებოდა, რომ იგი ისტორიული ეგრისის და ქართლის სამეფოს საზღვარზე მდებარეობს. ქართული წყაროების მიხედვით მიჩნეულია, რომ ქ. შორაპანი ქართლის პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის ფარნავაზის მიერაა აშენებული და იგი, ბორის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობითაც, ქართლის მონაპირე ერისთავის (პიტიახშის) საგამგებლო ერთეულში შედის.[4] ასეთ შემთხვევაში საზღვარი სწორედ ბორსა და კლდეეთს შორის გადის და კლდეეთელი წარჩინებულები დასავლურ-ქართულ სამყაროში ექცევიან, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად.

სამწუხაროდ, კლდეეთის რიგის ძეგლებს ახალი მონაცემების თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ ხანებამდე ცოტა რამ თუ შეემატა. საერთოდაც კოლხეთში დაკრძალვის წესის თავისებურების გამო სამაროვნებად განლაგებული ძეგლები იშვიათად ვლინდება. ამ მხრივ გამონაკლისს ე. წ. წებელდური კულტურის ძეგლები წარმოადგენენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, წებელდის სამაროვნის ძეგლები ახ. წ. IV საუკუნესა და შემდგომ ხანას განეკუთვნებიან და კლდეეთის სინქრონული სამარხები იქ თითო-ოროლაა მხოლოდ გამოვლენილი. თაგილონს გარდა ამ მხრივ პირველ რიგში იმთავითვე რაჭის ძეგლები იქცევდენ ყურადღებას, მაგრამ სამწუხაროდ, გამთხრელს მათი გამოქვეყნება არ დასცალდა. ყურადღებას იქცევს ჩხოროწყუს სამარხები. ისინი რიგი სპეციფიკურობით ხასიათდებიან, რაც დამარხვის წესში ვლინდება (კრემაცია ურნებში). გვიანანტიკური ხანის რამდენიმე სამარხი იყო მიკვლეული ძევრში (თერჯოლის რ-ნი), მათ შორის ორიოდე ქვევრსამარხიც, რაც დასავლეთ საქართველოსთვის გარკვეულ იშვიათობას წარმოადგენს (აქამდე ნაპოვნი იყო მხოლოდ ბანძაში, ცხაკაიას რაიონი, ახლა ისინი ცნობილია საზანოდანაც). მაგრამ ძევრის სამაროვნის ძირითადი კომპლექსები (გათხრილია გ. ცქიტიშვილის მიერ) წებელდურის მსგავსად ახ. წ. III ს. მომდევნო, უფრო კი ადრექრისტიანული ხანით თარიღდება. კიდევ უფრო მწირად გამოიყურება ცენტრალური კოლხეთის ვაკე ნაწილი. აქ დღემდე მხოლოდ ურეკის ცნობილი კომპლექსი იქცევდა ყურადღებას, იგი ახ. წ. III-IV, თუ უფრო ახ. წ. IV საუკუნით არის დათარიღებული.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ძეგლები ისევ მთისწინა ზოლს უკავშირდება. კერძოდ, 1968 და 1970-71 წ. წ. ენგურის ხეობაში ენგურის არქეოლოგიური ექსპედიცია ძველი სამოსახლო ბორცვის ფერდზე იკვლევდა გვიანანტიკური ხანის სამარხებს; სამარხები აქაც არაკომპაქტურად არის განლაგებული და, ერთეული აღმოჩენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება **დავასკვნათ**, რომ კოლხეთში გავრცელებული წესის მიხედვით ისინი საოჯახო სასაფლაოებს უნდა წარმოადგენდნენ. ცალკეულ მონაკვეთში, მცირე ფართობზე ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონისადმი მისაკუთვნებელი სამარხებიც იყო ნაპოვნი. სოფ. ლიას გვიანანტიკური ხანის სამაროვანი ახ. წ. პირველი საუკუნიდან მაინც ფუნქციონირებს. აქაური ახ. წ. I-III სს. სამარხების ერთი ნაწილი შედარებით დაწინაურებულ მეომართა კუთვნილი უნდა იყოს; ისინი წარმოდგენილია იარაღით, სამკაულით და ჭურჭლით (თიხისა და მინის), მათ შორის იმპორტული წარმოშობისა, მაგრამ ეს სამარხები მათში დამარხულ პირთა სოციალური მდგომარეობის წარმოსადგენად ცოტა რამეს გვეუბნებიან და ვერ გაუტოლდებიან კლდეეთის სამაროვნის მონაცემებს. ამასთან ლიას სამარხები რიგი მონაცემების (იარაღის, ნაწილობრივ კერამიკა) ერთგვარ მსგავსე-

ბას ამჟღავნებენ იმ რიგის მასალებისადმი, რომლებიც ლიტერატურაში ხშირად სარმატული წარმოშობისად მიაჩნიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიას სამაროვნის ერთ მნიშვნელოვან მონაცემად უნდა ჩაითვალოს ის, რომ აქ ჩვენ გარკვეული წყვეტილის გარეშე გვაქვს ახ. წ. პირველი საუკუნეების უშუალოდ მომდევნო ხანის სამარხები, გამოყოფილი, როგორც სამარხეული ინვენტარით, ასევე სტრატიგრაფიული მონაცემებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ახ. წ. IV-V სს. და, შესაძლოა, მომდევნო ხანის (ახ. წ. VI ს.) სამარხები მკვეთრად განსხვავდებიან წინა ხანის სამარხებისაგან ინვენტარის შემცველობით; თითქმის აღარ გვხვდება იარაღი, მდარეა, ამასთან შემცირებულია სამკაული, ერთგვაროვანია თიხის ჭურჭელიც. გათხრებითა და შემთხვევით აღმოჩენილი სამარხების ერთი ნაწილი თითქმის მხოლოდ ერთეული თიხის ჭურჭლით არის წარმოდგენილი. ახ. წ. IV-V სს სამარხებში მიცვალებულთა დაკრძალვის წესი ერთგვარ ცვლილებებს განიცდის, მაგრამ იგი საბოლოოდ ჩამოყალიბებული (ქრისტიანიზაციის თვალსაზრისით) არ არის. V ან, შესაძლოა, VI საუკუნისთვის მიცვალებულნი ქრისტიანული წესით არიან დასაფლავებულნი, დამხრობის დაცვით-გაშოტილნი. ქრისტიანობას აქ შემოჰყვა თიხის სარკოფაგიც, როგორც ეს საქართველოს სინამდვილისთვისაა დამახასიათებელი, ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ვაშნარის (მახარაძის რ-ნი) და იქვე ახლოს სოფ. კახურის (ვსარგებლობთ პროფ. დ. ხახუტაიშვილის ინფორმაციით) მონაცემები.

მაგრამ კლდეეთის ძეგლების უშუალო და უაღრესად მნიშვნელოვან პარალელს წარმოადგენს ამ უკანასკნელ ხანებში გონიოში, ციხე-ქალაქ აფსაროსის მიდამოებში, როგორც ვარაუდობენ წარმოშობით სამარხეული ინვენტარის განძად ჩაფლული ნივთები.[5] აქ პირველ რიგში ისევ პოლიქრომული სტილის ოქროს ნივთები იქცევენ ყურადღებას. უშუალო ანალოგიად კი მიჩნეულია ბალთები, რომელთა სამკუთხედად გამოყვანილი ზედა ნაწილი ცვარათი შემკული ჩიტებით არის დაბოლოებული; აღნიშნულს გარდა ყურადღებას იქცევს ჭაბუკის ოქროს ქანდაკება, ოქროსივე ფიალა და სამაჯურები, სხვადასხვა საკიდები, ფირფიტები, გარსაკრავები, კილიკები. ძირითადი მონაცემებით, როგორც ეს სამართლიანად აქვთ აღნიშნული პუბლიკაციის ავტორებს, ეს მასალა უშუალოდ ექცევა იმ კულტურის არეალში, რომელიც ახ. წ. I ს. საქართველოში, კერძოდ კი კლდეეთსა და არმაზისხევში არის წარმოდგენილი. ამავე კულტურის წრეში ექცევა ლოოს განძიც (სოჭის მახლობლადაა ნაპოვნი).

კლდეეთის სამარხეულ მასალაში ე. წ. სარმატულ ელემენტების არსებობა გ. ლომთათიძეს უშუალოდ სარმატული კულტურის ზეგავლენით არა აქვს ახსნილი და ფიქრობს, რომ აქ ის უფრო საკვლევი, რაც მომდინარეობს სარმატულ კულტურაში ძველი კავკასიური სამყაროდან. მართლაც მთელი რიგი ელემენტები კლდეეთის მასალებში აქ კულტურის თვითმყოფად ხასიათზე მიუთითებენ, პირველ რიგში დასახელებულია გენეზისით წინარე ხანის მასალებთან დასაკავშირებელი ბრინჯაოს ნივთები. თვით გონიოს ოქროს ნივთების გენეზისზე მსჯელობის დროს ავტორები სამართლიანად ძველკოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების დამუშავების ხერხების ტრადიციაზე მიუთითებენ (დასახელებულია სიმაგრის ნასახლარისა და ვანის გათხრების მასალები).[6] მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე სრულიად სამართლიანად აღინიშნება იმის შესახებ, რომ ამ კულტურის საერთო ისეთი ძირითადი კომპონენტის, როგორიცაა მოთვალული ოქროს ბალთების დამზადების ცენტრების საკითხი, დღესდღეობით ღიად უნდა დარჩეს. ამას გარდა გონიოს ნივთების ერთ ნაწილს — ოქროს საკიდ-მედალიონს ჰელიოსის გამოსახულებით, ან გარსაკრავს უშუალო ანალოგიები პოლიქრომიულ სარმატულ ცხოველსახოვან სტილის ძეგლთა წრეში ეძებნებათ, როგორიც დამახასიათებელია დონისპირეთის ძეგლებისათვის; ამასთან, აღნიშნული მედალიონის მსგავსი მასალა, მაგ. ტანაისში, ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდანაა ცნობილი.

კლდეეთის, ისევე როგორც აღნიშნული კულტურის ძეგლების ხასიათზე მსჯელობის დროს დიდი მნიშვნელობა ექნება მათ კომპლექსურ შესწავლას. კლდეეთში ჩატარებული ერთი კამპანია საკმარისი არ იყო, როგორც ამას დანაზებით შენიშნავს კიდეც გამთხრელი, ძეგლების სრულად გამოსავლენად, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი მასალების მოძიება გათხრების ჩაუტარებლად ჭირს, ხოლო დასავლეთ საქართველოს ძეგლების კომპლექსურ შესწავლას ართულებს გვიანანტიკური ხანის ნასახლართა (ნაქალაქარები, ციხეები, რიგითი სამოსახლოები) გამოუვლენობა.

1980 წ. ჩვენს მიერ კლდეეთში ჩატარებული დაზვერვების დროს ზედაპირულად შემოწმებულ იქნა აქ ადრე გათხრილი სამაროვნის მონაკვეთი, სადაც სამარხებთან დაკავშირებული რამდენადმე მნიშვნელოვანი ახალი მონაცემი არ დადასტურდა. სამოსახლოსადმი კუთვნილი უნდა იყოს იქვე ახლოს, გზის მონაკვეთში, ამ უკანასკნელის გაფართოების დროს გამოჩენილი ქვევრი, რომელიც ჩაუკირავი ყოფილა, რაც მის შედარებით ადრეულობაზე უნდა მიუთითებდეს. გ. ლომთათიძე კლდეეთის სამაროვნის კერამიკულ მასალებზე მსჯელობის დროს მიუთითებდა, რომ მასში შერეული უნდა იყოს სამოსახლოს მასალაც. მართლაც, ამ მასალების არმაზის არქეოლოგიურ ბაზაში გადათვალიერების დროს, ჩვენც შევამჩნიეთ ზოგ ისეთ ჭურჭელთა (ტაფისებური და სხვ.) ფრაგმენტები, რომლებიც სამაროვანთან ახლოს სამოსახლოს არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

კლდეეთშივე „კლდეკართან“ გამართული ციხის კედლების ნაშთები სავარაუდო კოშკებითურთ, ფრაგმენტულად რომაა წარმოდგენილი, უფრო მოგვიანო ხანის ძეგლის შთაბეჭდილებას ტოვებს; აქვე შეინიშნება ჩადუღაბებული ქვევრები. ამ ციხესთან, როგორც ჩანს გაივლიდა იმერეთის სამხრეთი მთიანეთისკენ მიმავალი გზა. სხვა აღმოჩენებიდან უკვე გვქონდა აღნიშნული კლდეეთთან სოფ. ალავერდში საშუალო სკოლის მოწაფეების მიერ ჩვენი ექსპედიციისათვის გადმოცემული ბრინჯაოს მშვილდოსანი მხედრის მცირე ქანდაკების შესახებ, რომელიც შესაძლოა სულაც კლდეეთის სამაროვნის ძეგლთა რიგისა იყოს ქრონოლოგიურად და კულტურულად.

კლდეეთის სამაროვნის უფრო დასავლურ-ქართული კულტურული წრისადმი მიკუთვნების შესახებ მოსაზრებას შეიძლება მხარს უჭერდეს ზოგი დაკვირვება: კერძოდ, პირველ რიგში ეს შეეხება თიხის ჭურჭელს, იგი თავისი ტექნოლოგიური მონაცემებით თითქმის სრულ ანალოგიას მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მასალებში პოულობს. კეცი ამ მასალისა უფრო მოყავის-

ფროა, ზოგჯერ გაშავებულიც, ხასიათდება ქარსიანობით; სუსტად გამომწვარია და ადვილად შლადი. ამიტომაცაა, რომ როგორც კლდეეთის, ასევე დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი ძეგლების (ლიას და ჩხოროწყუს სამაროვანი, ჭიხუს სამარხის მასალები და სხვ.). თიხის ჭურჭელი ძნელად აღსადგენია. (იმავე მიზეზის გამო იშვიათად აღწევს მუზეუმებამდე შემთხვევით გამოვლენილი სამარხების ჭურჭლები.) კლდეეთის ტუჩიანი, მთელი ხელადა ანალოგიას ჰპოვებს ლიას სამაროვნის მასალებშიც, თუმცა იგი შესაძლოა მართლაც ლითონის ჭურჭლის მინაბაძი იყოს და ამდენად არა მარტო მაინცდამაინც კოლხეთისთვის დამახასიათებელი. ძირითადად კი მაინც აქ, როგორც აღვნიშნეთ, ტექნოლოგიური მომენტია მთავარი. თითქმის სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა კლდეეთისაგან აღმოსავლეთით დადასტურებულ ბორის ძეგლებზე. აქ ძირითადად ქართლისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი გვხვდება, როგორც ფორმის, ისევე ტექნოლოგიური მონაცემების თვალსაზრისით, თუმცა იქაც გვხვდება, ზემოთ აღწერილი, ე. წ. „დასავლური“ კერამიკის მსგავსი მასალა. სხვა შემთხვევაში კლდეეთშივე ყურადღებას იპყრობს მშვილდსაკინძების სიმრავლე. სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღნიშნულია ახ. წ. I ს დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი ორწილადი, ბუდეაბმული მშვილდსაკინძების ფართოდ გავრცელების შესახებ. ქართლში, კერძოდ მცხეთასა და სხვაგან (ასევე ნაწილობრივ ბორში) ახ. წ. I სს. მშვილდსაკინძები დიდ იშვიათობას წარმოადგენს, არცერთი ცალი არაა ნაპოვნი არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე. ვფიქრობთ, რიგ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო კლდეეთის ძეგლები, როგორც პოლიტიკურად, ასევე კულტურულად კოლხეთის არეალშია მოქცეული, ისევე, როგორც გენეზისით დასავლურ ქართული წარმოშობისა უნდა იყოს ციხე-ქალაქი შორაპანი. ცალკე დგას ბორის ძეგლების კუთვნილების საბოლოოდ გადაწყვეტის საკითხი. მხოლოდ მომავალ ინტენსიურ არქეოლოგიურ ძიებას და გათხრებს შეუძლია შეიტანოს სინათლე წერილში აღძრულ საკითხებში.

---

1. ადგილზე გათხრით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა აწ განსვენებული გ. ლომთათიძე, რომელმაც გათხრების შედეგებს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა (იხ. გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ. 1957).

2. ს. ჯანაშია, დიდი შენაძენი, „ლენინელი“, 1941 წ. 5/XII, № 72.

3. გ. ლომთათიძე, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კულტურული ერთიანობის საკითხისათვის ახ. წ. II-III საუკუნეებში (კლდეეთის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით). აკად. ს. ჯანაშიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სოხუმის სესიის თეზისები, თბ. 1952, გვ. 26.

4. გ. ცქიტიშვილი, იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის იმერეთში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ 7, 1955 წ.

5. ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი ,გონიოს განძი, თბილისი, 1980 წ.

6. იქვე, გვ. 23.

ნინო უგრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოზაიკური ჭურჭელი ბიჭვინტის ნაქალაქარიდან

ბიჭვინტის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში მოპოვებულ მრავალრიცხოვან მინის ფრაგმენტთა შორის აღსანიშნავია მოზაიკური ტექნიკით დამზადებული გვიანელინისტური დროის ორი სასმისის ნატეხი.[1] ეს ფრაგმენტები განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგანაც სადღეისოდ ნაქალაქარზე აღნიშნული ხანის კულტურული ფენა ფერმკრთალად არის წარმოდგენილი და ამდენად ამ დროის თითოეულ ნივთს გარკვეული წვლილი შეაქვს გვიანელინისტური ხანის ქალაქის მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.[2] დას. საქართველოდან მხოლოდ ეს ორი ნატეხია; ორია აღმოსავლეთშიც (სარკინეთი, ალაიანი). საყურადღებოა, რომ ჩრდ. შავიზღვისპირეთის გვიანელინისტური ხანის ნაქალაქართა კულტურულ ფენებში და სამაროვნებში მოზაიკური ჭურჭელი იშვიათია, პანტიკაპეიდან ცნობილია რამდენიმე ფრაგმენტი და ერთი მთელი ჭურჭელი.[2]

ბიჭვინტაში ნაპოვნი ორი ფრაგმენტიდან ერთი, შედარებით მოზრდილი ნატეხია, რომლის მიხედვით ჭურჭელი პირმოკვეთილ ღრმა ფიალას წარმოადგენდა. სასმისს პირის კიდე გამოყვანილი აქვს ფერადი (მწვანე, ლურჯი, წითელი და თეთრი) მინის ძაფებით. ნახევარსფერული ტანი ჭრელია. იგი შედგება ლურჯი და მწვანე მრავალკუთხედებისაგან, რომლებშიც მოქცეულია ყვითელმწვანე ფოთლები და თეთრგულიანი, წითელი ასიმეტრიული ოვალები (ყვავილები?).

ჭურჭლის სავარაუდო სიმაღლე 7-8სმ; პირის დიამ. 14სმ, მინის სისქე —0,3 —0,4სმ.

მეორე ნატეხი მცირედ პროფილირებული დიდი ჭურჭლის (ფიალის) ტანის პატარა ნატეხია. მინა ჭრელია. თეთრად დაწინწკლულ ღვინისფერ ფონზე გაფანტულია თავწვეტიანი თეთრგულიანი ოვალები.

ნატეხის ზომა 2×1,8 სმ, მინის სისქე —0,3სმ.

ბიჭვინტის ორივე ჭურჭელი მოზაიკური ტექნიკით არის დამზადებული. ხელოსანი სხვადასხვა ფერის მინის ძაფების კონას ალღობს სანამ არ მიიღებს ერთ მთლიან ღეროს. შემდეგ ამ ღეროს ჭრის პატარ-პატარა ნაჭრებად და აწყობს ერთი-მეორის გვერდით ისე, რომ ღეროს ჭრილში ფერადი ძაფებით გამოყვანილი გამოსახულება ზედაპირზე მოექცეს... ამასობაში მზადდება უფერული ან ფერადი მინის ნამზადი, რომელშიც ხელოსანი ერთი-მეორის გვერდით მჭიდროდ სვამს ფერად ნაჭრებს: ასეთია ზოგადად მოზაიკური ჭურჭლის დამზადების ხერხი.[3]

ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ მოზაიკური ჭურჭელი ფერადი ქვების მიბაძვით კეთდებოდა და მათ იმიტაციას წარმოადგენდა. ასეთი ჭურჭლის დამზადება არ იყო იოლი საქმე და მხოლოდ მაღალხარისხოვან სახელოსნოებში, რომლებიც იმ დროს არც თუ მრავალრიცხოვანი იყო, შეიძლებოდა მათი წარმოება.

მოზაიკური ჭურჭელი ლიტერატურაში მილიფიორის (რაც იტალიურად



გვიანელინისტური ხანის მოზაიკური მინის სასმისები ბიჭვინთიდან.

Стеклянные мозаичные сосуды позднеэллинистической эпохи из Пицунды.

ათასფერადს ნიშნავს) სახელითაც არის ცნობილი. საყურადღებოა, რომ ნ. კაჩალოვის აზრით პლინიუსი „განათხარ სხეულთა ბუნებისმეტყველების ისტორიაში“ სწორედ ამ ტიპის ჭურჭელს უწოდებს მურინულს. ჩვენი აზრით, ეს სავსებით სამართლიანი უნდა იყოს, რადგანაც გვიანელინისტურ და ადრერომაულ ხანაში (ახ. წ. I ს. ჩათვლით) ერთ-ერთ ყველაზე საზეიმო ჭურჭელს მოზაიკური ჭურჭელი წარმოადგენს; როგორც ჩანს, იმ დროს იგი ძვირად ფასობდა და მხოლოდ საზოგადოების შეძლებულ ფენებისთვის იყო ხელმისაწვდომი[4].

მილიფიორის ანუ მოზაიკური ჭურჭელი კარგად არის ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ნაშრომებში ბიჭვინტის სასმისთა ფრაგმენტებს ზუსტი ანალოგია არ მოეძებნა, მხოლოდ ცალკეული დეტალებით (როგორიცაა პირის მოყვანილობა, პირის კიდის შემკობის ხერხი), მსგავსია შმიტის კოლექციის გამოცემულ კატალოგის №№126, 131, 132, 136 და 38 ქვეშ აღწერილ ჭურჭლის, სალდერნის, ნოლტეს, ლაბაუმეს და ჰევერნიკის მიერ შედგენილ კატალოგის №№ 309, 322, 326, 327 ქვეშ აღწერილი ჭურჭლის, ტანის მოყვანილობით — შმიტის კოლექციის № 131; სალდერნის, ნოლტეს, ლაბაუმეს და ჰევერნიკის კატალოგის №№ 322, 326.[5]

ზემოხსენებული ჭურჭელი, როგორც ითქვა, გარკვეულ ქრონოლოგიურ

პარჩოში ექცევა და ძვ. წ. I და ახ. წ. I სს. შემოიფარგლება. ახ. წ. I საუკუნის ბოლოდან ამგვარი ტექნიკით მხოლოდ მინის მძივები მზადდება. (ნ. სოროკინა, თუმცა ისინი უფრო ადრეულ ხანაშიცაა ცნობილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზაიკური მინის ჭურჭლის დამზადების შეწყვეტა აიხსნება საბერავი მილის გამოგონებით. (ახ. წ. I ს.), ცნობილია, რომ საბერავი მილის აღმოჩენა ახალ ეპოქას ჰქმნის მინის ინდუსტრიაში, რადგანაც იგი უსაზღვრო შესაძლებლობას ანიჭებს ოსტატს, როგორც ჭურჭლის ფორმის მრავალფეროვნების ისე მინის სისქის შექმნის მხრივ. ამასთანავე იგი რენტაბელურს ხდის წარმოებასაც. ამიტომ ბუნებრივია, რომ ერთფეროვანი ფორმის, შრომატევადი ტექნიკით დამზადებული ჭურჭელი, ამასთანავე ძვირადაც ფასდებული, მეტოქეობას ვერ გაუწევდა ტექნიკური სიახლით შექმნილ მრავალფეროვან მინის ჭურჭელს.

ლიტერატურაში ერთი აზრი არ არის მოზაიკური ჭურჭლის წარმომავლობის შესახებ, მაგრამ მკვლევართა უმეტესობა მათ სამშობლოდ აღმოსავლეთს მიიჩნევს. მაგალითად ეიზენის აზრით აღნიშნულ დროში ამგვარი ჭურჭელი მზადდებოდა არა მარტო ალექსანდრიის სახელოსნოებში, არამედ სიდონში, ტირში, ხოლო შემდეგ რომში და გალიაში.[6]

სადღეისოდ ბიჭვინტის ნაქალაქარში ნაპოვნ მოზაიკური ჭურჭლის წარმომავლობის შესახებ გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ უსათუოდ გასათვალისწინებელია, რომ იგი მსგავსია იმ ჭურჭლის, რომლებიც მცირე აზიურ ნაწარმად არის მიჩნეული.[7] ჩვენი აზრით, ბიჭვინტის ორივე ფრაგმენტი წინააზიიდან უნდა იყოს შემოტანილი.

მოზაიკური ჭურჭლის აღმოჩენა ბიჭვინტის გვიანელინისტურ ხანის ფენებში მეტყველებს არა მარტო იმ დროის ქალაქის მაღალ ფენების შეძლებაზე, მოთხოვნილებაზე და გემოვნებაზე, არამედ აგრეთვე იმ სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაზე, რომელიც ქალაქს ჰქონდა აღნიშნულ ხანაში, კერძოდ ხმელთაშუა ზღვისპირეთის დაწინაურებულ ქვეყნებთან.

---

[1] №№ 2725, 3079 — ნაპოვნია IX და XIII უბნებზე.

[2] Н. П. Сорокина, Стекло из раскопок Пантикапея (1945—1959 гг.) МИА, № 103, М., 1962 г. Художественное стекло, Альбом по материалам выставки в Гос. Эрмитаже, Л., 1967.

[3] Н. Н. Качалов, Стекло, М., 1959 г., М. И. Максимова, Эллинистическая техника, М.-Л., 1948.

[4] Плиния Секунда, Естественная история ископаемых тел, СПБ, 1819.

[5] Glass from the Ancient World. New Iork 1957. Saldern Nolte, Ya Baume, Hevernik, Gläser der Antike Köln, 1974.

[6] G. Eisen. Glass. New York 1927.

[7] Glass From the Ancinet World, New York, 1957.

მარინე მიწიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის კერამიკულ სახელოსნოთა (IX-XIII ს. ს.) შესწავლილობა

გიორგი ლომთათიძემ დიდი წვლილი შეიტანა ფეოდალური ხანის ძეგლების არქეოლოგიურად შესწავლაში. იგი წლების მანძილზე (1948-1970 წწ.) ხელმძღვანელობდა ისეთ მნიშვნელოვანი ძეგლების გათხრას, როგორიც არის თბილისის კერამიკული სახელოსნო და მისი გადანაყარი, უჯარმის ციხე-ქალაქი, რუსთავის ნაციხარი და ნაქალაქარი, ნადარბაზევის სასახლე და წყალსადენი, ახალქალაქი, თელავი, კვეტერა, ვარძია, ვარდციხე, თბილისის დედაციხე და სხვა.

დასახელებულთა შორის ხელოსნობის, კერძოდ ქართული მოჭიქული კერამიკის საწარმოს ორგანიზაციისა და ნაწარმის შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ძეგლს თბილისის კერამიკული სახელოსნო და მისი გადანაყარი წარმოადგენს.

თითქმის ორმოცი წლის წინ თბილისის სისტემატური გათხრა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის საგანგებო ხუთწლიან თემას წარმოადგენდა. 1946-50 წწ. არქეოლოგიური განყოფილების გეგმაში ფართოდ იქნა შეტანილი ფეოდალური ხანის ძეგლების შესწავლა. ზოგიერთი ძეგლის მიმართ (დმანისი, გუდარეხი) ინსტიტუტს უნდა გაეგრძელებინა დაწყებული საქმე, ამავე დროს უნდა შეესწავლათ ხელშეუხები ობიექტები, მათ რიცხვს თბილისი ეკუთვნოდა. გათხრები ქალაქის შიდა ციხეზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ შემთხვევითმა გარემოებამ გეგმები შეცვალა. ვინაიდან 300 არაგველის ბაღის გვერდით (კიროვის რაიონი), ახალი ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით თავი იჩინა აუარება მოჭიქულმა კერამიკამ.

აღნიშნული ობიექტი დაათვალიერა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. გადაწყდა მუშაობის დაწყება და სასწრაფოდ შეიქმნა „თბილისის შემსწავლელი ისტორიულ-არქეოლოგიური ჯგუფი". მასში შევიდნენ: ისტორიკოსი შ. მესხია, არქეოლოგი გ. ლომთათიძე და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფრ. მეცნიერ თანამშრომელი ო. ჯაფარიძე, რომელსაც დაევალა აღნიშნულ ადგილზე გათხრების წარმოება.

მუშაობა მიმდინარეობდა 1948 წ. ოქტომბერ-ნოემბერში, რომელიც მალე უსახსრობის გამო შეწყდა, მაგრამ ინსტიტუტმა მცხეთის არმაზ-სარკინეთის რაზმისათვის განკუთვნილი თანხა თბილისის ექსპედიციას გადასცა. ამ დროიდან გათხრების ხელმძღვანელობა დაევალა გიორგი ლომთათიძეს (1948 წ. ნოემბერ-დეკემბერი, 1949 წ. მარტი-ივლისი).

1948-49 წწ. წარმოებული ინტენსიური მუშაობის შედეგად გამოვლენილ იქნა შვიდი კერამიკული ქურა, მასთან ერთად აუარება მოჭიქული ჭურჭელი, სახელოსნოსათვის საჭირო ხელსაწყოები და ნედლეული, ქურის მოწყობილობის ნაწილები, სოლები, კაკვები, სამფეხა სადგარები, ხელსაფქვავი-საჭიქური მასალის დასაფხვნელი, ფილა ქვიშაქვისა — ნედლი თიხის მოსაზელი, როდინი — ჭიქურისათვის საჭირო მასალის დასანაყი, მათ გარდა ორი ჭა — „ნოტიო

მიწისქვეშეთი“, სადაც განლექილი თიხის ბელტებს ინახავდნენ, ხელოსანთა სამზარეულო, სადაც აღმოჩნდა სამზარეულო კერამიკა, შინაური ცხვრის ძვლები, თონე, კერა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხრის შედეგად გაირკვა, რომ მოჭიქული კერამიკის საწარმო იმ ხანისათვის კეთილმოწყობილი იყო. თითო სახელოსნო შედგებოდა რამდენიმე სენაკისაგან, რომელთაგან ერთში იდგა ქურა, მეორეში ინახებოდა ქურაში გამოსაწვავი ჭურჭელი, მესამე სამზარეულო უნდა ყოფილიყო.

თბილისის კერამიკული სახელოსნო გამთხრელთა მიერ XI-XIII სს. დათარიღდა.

გიორგი ლომთათიძისა და ო. ჯაფარიძის 1948 წლის ჩატარებული მუშაობის ანგარიში გამოქვეყნდა 1955 წელს კრებულში „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“.[1]

თბილისის კერამიკულ სახელოსნოსა და მის გადანაყარში მოპოვებული მასალა 1957 წელს გადაეცა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, სადაც ამ მასალას გამოყოფილი აქვს ცალკე ფონდი. მასალა — 3605 ერთეული, გატარებულია ექვს სამუზეუმო დავთარში, აქედან უმრავლესობას მოჭიქული კერამიკა (3000) წარმოადგენს.

გიორგი ლომთათიძემ, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის არქეოლოგიის ჯერ ჯგუფს, ხოლო შემდეგ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, იმთავითვე განსაზღვრა ფეოდალური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი მასალის შესწავლის აუცილებლობა. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით განყოფილების თანამშრომლებს დაევალათ ხელოსნობის ცალკეული ნაწარმის (ფაიანსი, თიხის ჭურჭელი, მინა და ა. შ.) მონოგრაფიული დამუშავება. ჩვენ დაგვევალა (1960 წ.) ფეოდალური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის შესწავლა.

მოჭიქული კერამიკის შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანსა და საინტერესოს თბილისის კერამიკული სახელოსნო წარმოადგენდა: ერთი მხრივ იმიტომ, რომ აქ აღმოჩენილი მასალა ერთი საწარმო ცენტრიდან მომდინარეობს, რაც მეტ საშუალებას იძლევა აღდგეს საწარმოს მთელი რიგი თავისებურებანი; მეორე მხრივ — აღმოჩენილი დიდძალი მოჭიქული კერამიკა, როგორც მატერიალური კულტურის ნივთიერი ძეგლი, დიდი ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდა.

მრავალი წლის მანძილზე აღნიშნული მასალის დაწვრილებითმა შესწავლამ ბევრი რამ ახალი შეგვძინა ქართული მოჭიქული კერამიკის წარმოების და თვით ნაწარმის ხასიათის შესახებ.

თბილისის კერამიკულ სახელოსნოში აღმოჩენილ მოჭიქულ ჭურჭელს შორის გამოიყო სხვადასხვა ქრონოლოგიური ჯგუფები (IX-X, XI-XII, XII-XIIIს. I ნახ.); დადგინდა, რომ თბილისის სამხრეთ აღმოსავლეთით მოჭიქული კერამიკის სახელოსნოები IX-XIII ს. პირველ ნახევრამდე მოქმედებდნენ. გამოიყო წარმოების ორი პერიოდი IX-X დაXI-XIII ს. პირველ პერიოდში (IX-X სს) საწარმოო რაღაცა მიზეზების გამო გაუქმებულა და იმავე ადგილზე ახალი კედელ-ბურჯების თანადროულად (XI ს.), აღუდგენიათ ახალი საწარმო, რომელიც უწყვეტლივ არსებობდა მონღოლთა შემოსევამდე. საწარმო ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა





მოჭიქული ჯამი XII-XIII სს. (თბილისის კერამიკულ სახელოსნო).

Поливная чаша XII—XIII вв. (Тбилисская керамическая мастерская).

რთო მასშტაბისაა. იგი ქალაქის სამხრეთ გალავნიდან ვიდრე ბალნეოლოგიურ კურორტამდე იყო გადაჭიმული; აღნიშნულ სახელოსნოებში მზადდებოდა დიდი რაოდენობის მაღალი ხარისხის ეროვნული ხასიათის მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც წინასწარ შემუშავებული და დადგენილი ორნამენტული რეპერტუარის მიხედვით მზადდებოდა. ორნამენტები საოცარი სიზუსტით მეორდებოდა. სახელოსნოს კეთილხარისხიანი ჭურჭელი ცხადყოფს კვალიფიცირებული ხელოსნების არსებობას; სახელოსნოს პროდუქცია, რომ მკაცრად მოწმდებოდა, ამას გადანაყარი მასალა მეტყველებს; თბილისის კერამიკულ სახელოსნოში არსებულ წესებს, რეჟიმსა და კანონებს, საფიქრალია, ხელოსანთა ორგანიზაცია-ამქარი აწესებდა. თბილისის კერამიკული სახელოსნო ნაწარმის მიხედვით გვევლინება, როგორც ერთიანი ორგანიზებული სკოლა, სადაც მხატვარ-კერამიკოსები მტკიცედ მისდევდნენ დაკანონებულ ტექნიკურ და მხატვრულ წესებს.

აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის მოძიების ადგილისა და რაოდენობრივი მონაცემების (სტატისტიკური ანალიზის) შეჯამების საფუძველზე აღდგა მათი დამზადების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.[2]

მოჭიქული ჭურჭლის, საწარმოს არსებობისა და აქ აღმოჩენილი მონეტების[3] მიმოქცევის თარიღი ერთია, რაც იმის საბუთია, რომ ხელოსნობა და ვაჭრობა ერთდროული პროცესი იყო და IX-XII საუკუნეების მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა. თბილისის სამხრეთ აღმოსავლეთით IX-XIII საუკუნეებში, ჩანს, არსებობდა ხელოსანთა და ვაჭართა უბანი-რაბადი, რომელიც მონღოლთა შემოსევის შემდეგ აღარ მოქმედებდა.

გიორგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით 1948-1949 წწ. 300 არაგველის ბაღთან წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხელოსნური წარმოებისა და მისი ნაწარმის, თბილისის ტოპოგრაფიის, მისი ერთ-ერთი სახელოსნო უბნის გამოვლენისა და აღდგენის საქმეში.

თბილისის კერამიკულ სახელოსნოში აღმოჩენილი მასალის შესწავლა გრძელდება, ვიმედოვნებთ, რომ იგი ახალს შეგვძენს თბილისის ხელოსნური წარმოების შესახებ.

---

1. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში. 1948 წლის ზამთარში, მასალები, საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955, გვ. 119; ო. ჯაფარიძე, „განჯისკარის" 1948 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, მასალები, საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ. 1955, გვ. 80.
2. მ. მიწიშვილი მოჭიქული კერამიკის საწარმო შუასაუკუნეების თბილისში, IX-XIII სს., თბ., 1979.
3. ი. ჯალაღანია თბილისის არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს მოპოვებული ნუმიზმატიკური, მასალა, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. II, თბ, 1974, გვ. 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჯორბენაძე

## განვითარებული შუასაუკუნეების ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანი

განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლების შესწავლაში გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი რ. რამიშვილი), რომელიც აწარმოებს 1971 წლიდან ფართო მასშტაბის კვლევა-ძიებას დუშეთის რაიონში.[1]

ექსპედიცია თხრის ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენებულ ჟინვალის ნაქალაქარს და მის ნასოფლარებს. გამოვლენილია და გაწმენდილია არაერთი ეკლესია და თავდაცვითი სისტემის ნაგებობები.

შუასაუკუნეების ძეგლების შესწავლა მიმდინარეობს კომპლექსურად, რაც უფრო ადიდებს მეცნიერული შედეგების მნიშვნელობას.

ჟინვალის ნაქალაქარის პარალელურად ითხრება მისი სამაროვანი, რომელიც მდებარეობს მისგან ჩრდილოეთით მდ. ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირას.

ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანმა, ისევე როგორც, ივრის სიონის სამაროვანმა და სხვა ანალოგიურმა ძეგლებმა, ამ ბოლო დროს შეცვალეს ის შეხედულება, რომ განვითარებული შუასაუკუნეების სამაროვნები უინვენტაროა და არ წარმოადგენენ დიდ ინტერესს.

ჟინვალის ვრცელი სამაროვნის გათხრები მიმდინარეობს სამ მონაკვეთზე: პირველ ეკლესიასთან, შუა ნაწილში და მეორე ეკლესიასთან.[2]

აღნაგობითა და საშენი მასალის მიხედვით გამოიყოფა სამარხთა ოთხი ტიპი: 1. ორმოსამარხები (მეტად მცირერიცხოვანი), 2. ქვისსამარხები, 3. ამოშენებულკედლიანი და 4. აკლდამები.

დაკრძალვის წესი ქრისტიანულია, სამარხები მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ჭარბობს საოჯახო სამარხები, რომლებშიც წინამორბედთა ძვლები მიხვეტილია აღმოსავლეთით, ხოლო უკანასკნელი მიცვალებული ასვენია გაშოტილი.

პირველ ეკლესიასთან გამოვლენილი სამარხები განლაგებულია მჭიდროდ და ორ-სამ სართულად, ხოლო დანარჩენ მონაკვეთებზე მეჩხრად და ერთ სართულად.

სამარხებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აკლდამები, რომლებიც გეგმაში მოგრძო, ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით. კედლების (დასავლეთის გარდა) ზედა სამი-ოთხი რიგის ქვები მცირე საფეხურად გამოწეულია შიგნით და იქმნება სახურავის ფილებისათვის საყრდენი-ცრუ თაღი. აკლდამებს შორის გამოირჩევა რამდენიმე მოზრდილი მოყვანილობის მიწისქვეშა ნაგებობა და განსაკუთრებით კი კამაროვანი აკლდამა.[3] ეს უკანასკნელი ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში გათხრებით შესწავლილ ამ ტიპის ნაგებობებს შორის. მას შორეული ანალოგიები მოეძებნება ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმში (ხერსონესი, ბაკლა) და ბულგარეთში.

ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე შესწავლილ 673 სამარხიდან 310 ინვენტარიანია. გვხვდება თიხის მცირე მოცულობის სასმისები; მინის ჭურჭლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამარხეული ინვენტარი ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნიდან ნახ. კ. არაბულისა.

Погребальный инвентарь из Жинвальского могильника Накалакари. Рис. К. Арабули.

სამაჯურები, მძივები; ბრინჯაოს სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები; ვერცხლის ბეჭდები; რკინის სამაჯურები, აზზინდები, დანები; ოქროს საყურეები, ბეჭდები; ვერცხლის და სპილენძის მონეტები და სხვა.

სამარხეული ინვენტარი ძირითადში მიეკუთვნება სამკაულებს, ტანსაცმელთან დაკავშირებულ ნივთებს და ნაკლებად გვხვდება ყოფითი საგნები.

ნაქალაქარის სამაროვნის მსგავსი ნივთები აღმოჩენილია თბილისში, რუსთავში, ნატბეურში, ივრის სიონში, ძველ გავაზში და სხვ. და მიეკუთვნება XI-XIV სს. ამავე თარიღს აზუსტებს თხრისას გამოვლენილი მონეტები: სპილენძის, თამარ მეფის, მოჭრილი 1187 წ; სპილენძის, მოჭრილი თამარის და სოსლანის სახელით 1200 წ.; ვერცხლის, რუსუდან დედოფლის, მოჭრილი 1230 წ., ვერცხლის, ქართული ჰულაგუიდური, მოჭრილი თბილისში XIII ს. 80-იან წლებში და სხვ.[4]



სამარხების ხედი პირველ ეკლესიასთან.
ფოტო ვ. ასტახოვისა.

Вид на погребения около первой церкви (фото В. Астахова).

კამაროვანი აკლდამის აღდგენა დუშეთში არქეოლოგიური ბაზის ეზოში ფოტო ბ. ჯორბენაძისა.

Востановление сводчатого склепа в Душети во дворе археологической базы. Фото В. Джорбенадзе.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაროვანზე აღმოჩენილ ზოგიერთ სამკაულს და თიხის სასმისებს ზუსტი ანალოგიები მოეძებნება ჟინვალის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში.

დაკრძალვის წეს-ჩვეულებასთანაა დაკავშირებული სამაროვანზე გათხრილი სამი ეკლესია, რომლებიც XI-XIII სს. მიეკუთვნება. ეკლესიები წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობებს. ორს აქვს მინაშენი სამხრეთ მხრიდან. ეკლესიებში მოწყობილი იყო სამარხები. ამრიგად, ისინი საყამნო-ეკვდერების დანიშნულების ფუნქციას ასრულებდნენ.[5]

სულ მალე ჟინვალის ნაქალაქარი და მისი შემოგარენი, რომელიც მდებარეობს ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის ტერიტორიაზე, დაიფარება წყლით. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით მომავალი წყალსაცავის ზონიდან გადმოტანილი იქნება ზოგიერთი ისტორიული ძეგლი. მაგ. ნაქალაქარის სამაროვნიდან ევაკუირებულია და აღდგენილია დუშეთში, მილახვრიანთკარში, ექსპედიციის ბაზის ეზოში მესამე ეკლესია № 204 სამარხთან ერთად, კამაროვანი აკლდამა და №26 სამარხი, რომელიც მოზრდილ აკლდამას წარმოადგენს. აგრეთვე გადმოტანილია ქვები მეორე ეკლესიის ორი სამარხით. ამ სამუშაოს ასრულებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო.

ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის შესწავლით ახლებურად წარმოგვიდგება არაგვის ხეობის წარსული განვითარებულ შუასაუკუნეებში, როცა მთისწინეთში აღმოცენებულ ქალაქ ჟინვანს მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ადგილი ეჭირა იმ პერიოდში.

---

[1] Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Археологические исследования в зоне строительства Жинвальского гидротехнического комплекса. — Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1976, стр. 30—44.

2. ბ. ჯორბენაძე, ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის თხრა 1972 წელს... — ჟინვალი. არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, 1, თბ., 1983, გვ. 134-168.

3. ბ. ჯორბენაძე, ჟინვალის კამაროვანი აკლდამა. — ძეგლის მეგობარი, № 47, 1978, გვ. 19-22.

4. მონეტების განსაზღვრა ეკუთვნის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ი. ჯალაღანიას.

5. ბ. ჯორბენაძე, კ. წერეთელი, ჟინვალის „ნაქალაქარის" სამაროვნის ეკლესიები. — ძეგლის მეგობარი № 49, 1979, გვ. 8-14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კახი წერეთელი

## სტელები სოფ. დავათის ღვთისმშობლის ეკლესიიდან

ქინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი რ. რამიშვილი) კვლევა-ძიების შედეგად გამოვლინდა ქრისტიანული საკულტო ხუროთმოძღვრების ბევრი საყურადღებო ძეგლი. ერთ-ერთი მათგანია მდ. არაგვის შენაკად აბანოსხევის სიღრმეში, სოფ. დავათის ახლოს მდებარე ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც განეკუთვნება ჯერჯერობით ნაკლებად შესწავლილ ორნავიანი ბაზილიკის ტიპს და თარიღდება VIII-IX სს-ით.[1]

სოფ. დავათის ღვთისმშობლის ეკლესიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნავების გამყოფ ბურჯში ჩაშენებული სტელების ფრაგმენტები, რომელთა მეორადი გამოყენების ფაქტი ეჭვგარეშეა.

ბურჯის სამხრეთი წახნაგის დასავლეთ კუთხეში წყობაში ჩართულია ღია ფერის ქვიშაქვის მოზრდილი მონოლითი, რომლის სამხრეთ გვერდზე ღრმა კონტურით ამოკვეთილ ჩარჩოში მოთავსებულია სტელაზე აღმართული ჯვრის გამოსახულება. (სურ. 1). ბოლნური ტიპის ჯვრის ქვემოთ სფერული ფორმის რელიეფია მოთავსებული, მაგრამ ჯვარი უშუალოდ სფეროს კი არ ეყრდნობა, არამედ რელიეფურ წრეს, რომელიც, თავის მხრივ, ვერტიკალური დეკორატიული ლილვების ორი დამაბოლოებელი ნახევარწრიული რკალითაა შემდგარი. დეკორატიული ლილვები, მათ თავზე შეკრული წრე და წრის ცენტრში მოთავსებული სფერო გლუვი ზედაპირის ფონზე მკვეთრი კონტურითაა ამოჭრილი და ჯვართან ერთად შუქჩრდილის ეფექტზე აგებულ ნახატს ქმნის.

განსახილველი სტელის სამხრეთი წახნაგის კომპოზიცია, ყველა ნიშნით, რეალურად არსებულ სტელას უნდა ასახავდეს. მიუხედავად იმისა, რომ ბაზის — სტელა-ჯვრის არცერთი მთლიანი კომპოზიციური სისტემა არ გადარჩენილა, ეძაანის სიონის ეკლესიის (VI ს-ის I ნახ.) აბსიდის შვერილის რელიეფური გამოსახულების გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება თავდაპირველი კომპოზიციის საკმაოდ სრული რეკონსტრუქცია, „ვინაიდან მისი შედარება ამგვარი ობიექტების რეალურად არსებულ ფრაგმენტებთან ცხადყოფს, რომ იგი კომპოზიციის ყველა ტექტონურ ნაწილს სანდოდ ასახავს“[2]. რაც შეეხება დავათის სტელის რელიეფურ მოდელს, იგი ფორმით ძალზე უახლოვდება გარბანის ეკლესიასთან და ახალციხის ბაზილიკის (ხევში) მახლობლად მდებარე სტელებს[3], თუმცა ამ შემთხვევაში ერთგვარ სტილიზაციასაც უნდა ჰქონდეს ადგილი. თვით სტელის მოდელზე გამოსახული ჯვარი მოხაზულობით უახლოვდება ბოლნისის სიონის ბაზილიკის აღმოსავლეთი სარკმლისა და ინტერიერის ერთ-ერთი ჯვრის[4], აგრეთვე მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის სამხრეთი შესასვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1
Фото 1.



სურ. 2.
Фото 2.



სურ. 3.
Фото 3.

ლელის ტიმპანის რელიეფური კომპოზიციის ჯვარს[5], რომლებიც V და VI ს. ს-ით თარიღდებიან.

დასახელებული სტელის ფრაგმენტის დასავლეთ წახნაგის კომპოზიცია შედგება ვერტიკალურ ღერძზე განლაგებული სიცოცხლის ხისა და ჯვრის ორი გამოსახულებისაგან. (სურ. 2). ბოლნური ტიპის ზედა ჯვრის მკლავების არეები ორმაგი კონტურითაა ამოჭრილი და ვიწრო, წრიულ ჩარჩოშია მოთავსებული, ხოლო ქვედა ჯვარი, რომლის მკლავები ურთიერთგადამკვეთი წრეების სეგმენტებისაგან შედგება, ახლო პარალელს პოულობს ლამაზ გორაზე გამოვლენილი „აყვავებული“ ჯვრის ქიმზე ამოკვეთილი ჯვრის სახით.[6] წახნაგის ქვედა ნაწილში ორმაგი სიბრტყით ამოჭრილი ვერტიკალური ღეროს ზედა ნაწილში ორსავე მხარეს ქვემოთ სიმეტრიულად დაშვებულია მორკალული წანაზარდები, რაც სიცოცხლის ხის ძალზე სქემატურ გამოსახულებას წარმოადგენს. მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 4.
Фото 4.



სურ. 5.
Фото 5.



სურ. 6.
Фото 6.

რომელიმე ახლო პარალელი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ გარკვეული მსგავსება აკაურთას ეკლესიის (V-VI სს.) სამხრეთი კარის არქიტრავის[7] და ბოლნისის სიონის ბაზილიკის აბსიდის კაპიტელის სიცოცხლის ხეთა გამოსახულებებთან მაინც შეიმჩნევა. მათგან განსხვავებით დავათის სტელაზე გამოსახული სიცო

ცხლის ხის ტოტები შეუფოთლავია. გარდა ამისა, აკაურთასა და ბოლნისის დაბალი რელიეფური გამოსახულებებისაგან განსხვავებით, დავითის სტელის უაღრესად სქემატიური სიცოცხლის ხე ზედაპირზე საჭრეთლის ღრმა გაკვალვითაა გამოსახული. შედარებით ანალიზზე დაყრდნობით განხილული სტელა VI ს-ის II ნახ. უნდა განეკუთვნებოდეს.

ბურჯის სამხრეთ-აღმოსავლეთ წიბოში მოქცეულია სტელის მოზრდილი ფრაგმენტი, რომლის სამხრეთი წახნაგის ვერტიკალურ ღერძზე, სწორკუთხა ჩაღრმავების მთელ სიმაღლეზე, ფრონტალურად გამოსახულია ჩვილიერი ღვთისმშობლის სტატიკური ფიგურა. (სურ. 3). დისპროპორციულად ხაზგასმულია სხეულის ცალკეული ნაწილები — თავი და ხელები, ხოლო მათთან შეფარდებით აშკარად პატარა ფეხები პოზის იერატიულ ხასიათს უფრო მეტად უსვამს ხაზს. როგორც ჩანს, ღვთისმშობლის თავი მაფორიუმითაა დაბურული, რომლის კალთები კაბის დრაპირებაზე რბილად, გამჭვირვალე ქსოვილის დარადაა გადაფენილი. საერთოდ კი სამოსელი ძალზედ სქემატურადაა შესრულებული; სხეულის რომელიმე ცალკეულ ნაწილს ტანსაცმლის არცერთი ნაოჭი არ მიანიშნებს, ამრიგად ნახატი სავსებით მოკლებულია პლასტიკურობას, ხოლო ფორმათა მოდულირების ხერხი სრულიად უგულებელყოფილია. ღვთისმშობლის ხელები, მხრებთან ერთად ,ყრმის ირგვლივ ელიფსური მოყვანილობის მედალიონის მსგავსად იკვრება. იესოს თავთან განიერი შარავანდია გამოკვეთილი, მას მკერდზე კანონთა კრებული მიუხუტებია.

ადრეშუასაუკუნეების რელიეფურ ქანდაკებაში ჩვილიერი ღვთისმშობლის თეოტოკოსის იკონოგრაფიული სქემით გამოსახვა არც თუ იშვიათია. სტელებზე, როგორც წესი, ღვთისმშობლის განდიდების მთლიანი, თუ, ძეგლების ფორმებიდან გამომდინარე, დანაწევრებული სიუჟეტური კომპოზიციაა გამოსახული, მაგრამ ჩვენთვის ცნობილ ყველა მაგალითის მიხედვით მარიამი მხოლოდ მჯდომარე პოზაშია წარმოდგენილი. მაგალითისათვის, — ხანდისისა და ბრდაძორის სტელები (VI ს.)[9] და სხვ. რაც შეეხება ჩვენი რელიეფის ზუსტ იკონოგრაფიულ პარალელს, ასეთი ადრეულ ქართულ ძეგლებში არ გვხვდება. როგორც ჩანს, დავათის სტელის ფიგურული კომპოზიცია მთლიანობაში ოსტატის ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ყრმა იესოს ასაკისათვის უჩვეულო თმის ვარცხნილობა გააჩნია, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ჩვილი იესო, თუ იმანუილი ყოველთვის შეკვეცილი თმებით გამოისახებოდა, ხოლო ისეთი ვარცხნილობა, როგორიც დავათის ჩვილ იესოს აქვს, მხოლოდ ასაკოვანი მაცხოვრის იკონოგრაფიისთვისაა დამახასიათებელი (მხრებზე გადმოფენილი თმები).

ზემოთქმულიდან გამომდინარე დავათის რელიეფის მხოლოდ ნაწილობრივ მსგავსებაზე შეიძლება მსჯელობა როგორც ნიკომიდიის, ასევე თეოტოკოსისა და გარეგნულად ერთგვარად მსგავს ოდიგიტრიის იკონოგრაფიულ ტიპებთან. საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი, რომლის პროტოტიპსაც ეგვიპტური მემორიალური სტელების იზიდასა და ჰორის გამოსახულებები წარმოადგენენ, უკვე VI ს-დან ვრცელდება ამიერკავკასიის, კერძოდ კი საქართველოს კულტურულ წრეში[10], თუმც აქაც ღვთისმშობელი მხოლოდ მჯდომარე პოზაშია წარმოდგენილი. საქართველოში ადრიდანვე, ქრისტიანობის გავრცელების პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალელურად, შემოჰქონდათ მცირე ფორმის ხელოვნების ნიმუშები, პირველ ყოვლისა ხატები, რაც შემდგომში მიბაძვის საგანი ხდებოდა. ადგილობრივი ოსტატები, იყენებდნენ რა ცალკეულ იკონოგრაფიულ სქემებს, ხშირად მათი კომბინირების ხერხსაც მიმართავდნენ.[11] ამრიგად, როგორც ჩანს, დავათის სტელის ჩვილიერი ღვთისმშობლის რელიეფური გამოსახულება რომელიმე კონკრეტული იკონოგრაფიული სქემის მიხედვით არაა აგებული, არამედ ოსტატს განსხვავებული სქემების ცალკეული ელემენტები ხელოვნურად დაუკავშირებია. ამავე დროს სრულიად უჩვეულოა ჩვილი იესოს თმის ვარცხნილობა, რაც, ფაქტიურად, მაცხოვრის იკონოგრაფიაში ანაქრონიზმია.

VI ს-ის რელიეფური ქანდაკების ნიმუშებთან დავათის სტელის ღვთისმშობლის გამოსახულებას ახლოებს ხაზობრივ-გრაფიკული მანერით შესრულებული ნახატი, აგრეთვე მარიამისა და იესოს სახის მოყვანილობა, უჩვეულოდ დიდი და გულუბრყვილოდ დაძაბული გამომეტყველების თვალები, სხეულის ცალკეული ნაწილებისა და კოსტიუმის დამუშავების სქემატური ხასიათი.

სტელის იგივე ფრაგმენტის აღმოსავლეთ წახნაგზე ერთიანი მცენარეული ორნამენტია გამოკვეთილი. (სურ. 4). ორნამენტის უწყვეტი ნახატის მთავარი ხაზის — კლაკნილი ღეროს ორსავე მხარეს განსხვავებული ზომის ფოთლებია გამოზრდილი, რომელთა სიმეტრიულად გადახრილი და ბოლოებში ნახევარწრიულად მორკალული ზედაპირი ცერად ჩაჭრილი ორმაგი სიბრტყითაა ნაკვეთი. ადრეული შუასაუკუნეების ორნამენტულ დეკორში მსგავს მოტივს არც თუ იშვიათად ვხვდებით, რისი მაგალითებიცაა: ჟალეთის, სიონის ემბაზი, ბრდაძორისა, თუ წვეროდაბალის სტელები (VI ს.) და როგორც შენიშნავს აკად. გ. ჩუბინაშვილი ,აღნიშნული ორნამენტული მოტივის განვითარების უკანასკნელი სტადია VI საუკუნეზე მოდის.

სტელის შედარებით მცირე ფრაგმენტი ბურჯის ჩრდილო- აღმოსავლეთ წიბოშია ჩაშენებული, რომლის კუთხეების ჩამონაჭრები სამკუთხედებით შედგენილი გეომეტრიული ორნამენტითაა შევსებული. (სურ. 5). სტელის აღმოსავლეთ წახნაგზე, ერთმანეთთან მიჯრით, მსუბუქი კონტურის წრეები უთუოდ ფარგლითაა მოხაზული, ქვედა წრეში ბოლნური ტიპის ტოლმკლავა ჯვარია გამოჭრილი, რომლის ქვედა ქიმი ეყრდნობა ჰორიზონტალური ხაზებით დასერილ ბუნს. ასე, რომ ეს ჯვარი შტანდარტის გამოსახულებას წარმოადგენს. შესრულების განსაკუთრებული სიფაქიზით და ფორმის ღრმა შეგრძნებით გამოირჩევა ჯვარს ზემოთ მდებარე ვარდული, რომელიც ოთხი კონცენტრული წრით შემოფარგლულ არეს მთლიანად ავსებს. ოდნავ განსხვავებული ზომების ფოთლების ზედაპირი ორმაგი სიბრტყითაა ჩაკვეთილი, ხოლო განიერ ბოლოებში დამრეცად, ნახევარწრიულადაა ამოჭრილი, რისი მეშვეობითაც შუქჩრდილი თანაბრად, რბილადაა განაწილებული. კვეთილობის მაღალმხატვრული დონე მისი ავტორის პროფესიული დაოსტატების უტყუარი მოწმობაა. საკუთრივ ვარდულის დეკორატიული მოტივი საქართველოში ძალზედ პოპულარულია, მაგრამ VI-VII სს-ში კი განსაკუთრებით.

იგივე სტელის ჩრდილოეთ წახნაგზე არსებულ გეომეტრიულ მოტივს (სურ. 5). ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი პარალელი ჟალეთის სიონის ეკლესიის განათხარ მასალაში მოეძევება[12].

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დავათის ღვთისმშობლის ეკლესიაში დაცული სტელების ფრაგმენტები ადრეშუასაუკუნეების ქართული ხელოვნების საყურადღებო ნიმუშებია. ეჭვგარეშეა ისიც, რომ სტელების ამჟამად თვალით უხილავი ნაწილები არანაკლები ღირსების დეკორატიული მოტივებით, ან რელიეფებითაა შემკობილი. ამდენად მათი გამომზეურება მით უფრო საშური საქმეა.

---

1 Р. М. Рамишвили, Г. М. Рчеулишвили и др., Основные результаты работ Жинвальской археологической экспедиции ПАИ в 1982 г., Тб., 1982, с. 58, Таб. LXXXVIII, 1, 2.

2. ნ. ჩუბინაშვილი, ქვემო-ქართლის სტელა-ჯვრები. „ძეგლის მეგობარი, №30, 1972, გვ., 49.

3 В. Долидзе, Р. Шмерлинг. Военно-Грузинская дорога, Тб., 1956, с. 43—51.

4 Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, НИЯИМК, Тб., 1940, рис. 44, III.

5 Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948, с. 149—150.

6. ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968, გვ. 38, სურ., 22

7. ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, ქართული ხელოვნება, ტ. 2., თბ., 1948, ტაბ., 18, 1, 2.

8 Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, т. I, Тб., 1957, с. 33.

9 Г. Н. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1972, таб., 86.

10 В. Н. Лазарев, Византийская живопись, М., 1971, с. 299—313.

11 Н. А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977, с. 27.

12 ნ. ქადეიშვილი, ჭალეთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ., 1964, ტაბ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსთავი, ციხე, გათხრები ჩრდ. ზღუდესთან.

Рустави. Крепость. Раскопки у северной ограды.

თინათინ არჩვაძე, ცისანა ჩიკოიძე, მერი ჩხატარაშვილი,
ეკა ჯანდიერი

## კუხეთის რუსთავი

ცნობილი ქართველი არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის გ. ლომთათიძის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს ობიექტს ქ. რუსთავი წარმოადგენდა. „დმანისის ნაქალაქარის შემდეგ კუხეთის რუსთავი იქცა მეორე ძეგლად, რომელმაც დიდად დააწინაურა შუასაუკუნეთა ქალაქების არქეოლოგია ჩვენში და ხორცი შეასხა მათ ისტორიას“, ასეთ მნიშვნელობას აძლევდა იგი ამ ქალაქის არქეოლოგიურ შესწავლას.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა ღვაწლი დასდო გ. ლომთათიძემ რუსთავის მდიდარი და საინტერესო წარსულის წარმოჩენას, რომლის არქეოლოგიური შესწავლა მან 1949 წელს დაიწყო. მანამდე კი, ახალი ქალაქის მშენებლობის დაწყებისთანავე (1944-1956 წწ.), მცირე არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა მ. ივაშჩენკომ.

1949-1951 წწ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გაითხარა სხვადასხვა პერიოდის (გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანიდან მოყოლებული ვიდრე შუასაუკუნეების ჩათვლით) არქეოლოგიური ძეგლები. განსაკუთრებით კარგად წარმოდგა შუასაუკუნეების ქალაქის სახე — საერო და საკულტო დანიშნულების ნაგებო-

ბათა ნაშთები, სამაროვნები, ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგი. ნაქალაქარზე ჩატარებული მუშაობის შედეგები გ. ლომთათიძემ შეაჯამა ნაშრომში „რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები“ (მსკა, I. 1955). მანვე შეადგინა რუსთავის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური სქემა, რომელიც ძირითადად დღესაც რჩება ძალაში.

ნაქალაქარის თხრისას გ. ლომთათიძე ქალაქის სრული ისტორიის წარმოჩენისათვის ძალზე მოისაკლისებდა რუსთავის ციხის შეუსწავლელობას. მის ამ სურვილს ხორცი შეესხა მხოლოდ 1959 წელს და იგი მისთვის ჩვეული გატაცებითა და ენერგიით შეუდგა რუსთავის ციხის შესწავლას.

რუსთავის ციხე ველის ციხეა, რომელიც აგებულია გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის ნამოსახლარ ბორცვზე. ნაციხრის ხანგრძლივმა კვლევა-ძიებამ დააზუსტა და ზოგ შემთხვევაში გარკვეული ცვლილებანი შეიტანა ძეგლის სტრატიგრაფიაში; დაადგინა ციხის საფორტიფიკაციო სისტემა შუასაუკუნეების მთელ მანძილზე შესაბამისი ნასახლარებით, გაირკვა, რომ მას სამი ზღუდე ჰქონია შემოვლებული.

თავდაპირველი ზღუდე აგებულია IV-V სს-ში დიდი ოთხკუთხა თლილი ქვებითა და გაჯით; შიგ ჩართულია პილონები და ოთხკუთხა კოშკები. ქალაქი განადგურებული ჩანს VIII-ს-ის — I ნახევარში არაბთა შემოსევის შედეგად და შესაბამისად დანგრეულია ციხის იმავე ხანის ზღუდეც.

ციხის აღდგენა-განახლება ხდება VIII-IX სს-ში. მის სიძლიერეზე და საინტერესო გეგმარებაზე მეტყველებს როგორც ციხის ფორტიფიკაცია, ისე ზღუდის შიგნით გათხრილი საერო ნაგებობანი; ალიზიანი შიდა ზღუდე II (რომელშიც მთლიანად მოექცა თავდაპირველი ზღუდე) დიდ-პატარა ზომის ნახევარწრიული ბურჯებითა და კარიბჭით, მოპირკეთებული გათლილი ქვიშა-ქვის ლოდებითა და აგურის მონაცვლეობით.

აღსანიშნავია ციხის ჩრდილოეთ სექტორში გათხრილი, ზღუდეზე მიდგმული სასახლე, რომელიც დაყრდნობილია ქვიშა-ქვითა და დუღაბით ნაგებ 13 პილონზე. ოთახები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ალიზის ძლიერი კედლებით, იატაკი მოგებულია ოთხკუთხა აგურებით.

ამავე ხანას ეკუთვნის საცხოვრებელი კომპლექსი — სამოთახიანი ნაგებობა, აბანო, ჭა, მარანი, ნასახლართა ფრაგმენტული ნაშთები შესაბამისი არქეოლოგიური მასალით.

ციხეზე მოქმედებდა განსხვავებული ტიპის ორი ჭა. ერთი მათგანი წყლის ჭაა, რომელიც მდებარეობს აბანოს ჩრდილოეთით და მისი თანადროულია. ჭა აშენებული აგურით, სპეციალურად მისთვის მოტკეპნილ მოედანზე. მეორე ჭა — ჩაჭრილია ციხის ჩრდილო ზღუდეში საგანგებოდ ამოყვანილ ნიშაში, და საიმედოდ ყოფილა დაკეტილ-დაცული. მასში აღმოჩნდა უამრავი არქეოლოგიური მასალა, რომელთა დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, ციხის მესამე გადაწვის (XIII ს. II ნახ.) დროს მოხვდა შიგნით. ჭის გათხრა ჯერჯერობით ბოლომდე არ არის მიყვანილი და ამდენად მისი დანიშნულება გაურკვეველია.

კულტურული ფენების თხრისას კარგად გამოიკვეთა რუსთავის მეორე განადგურების კვალი, რომელიც წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით უკავ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რუსთავი, ციხე. სამხრ. დასავლეთი ზღუდე, გეგმა.

Рустави. Крепость. Юго-западная крепостная ограда. План.

რუსთავი, ციხე. სამხრეთ-დასავლეთი შიდა ზღუდე II-ის ბურჯი (IX-XI სს.).

Рустави. Крепость. Контрфорс II внутренней ограды (IX—XI вв.).



ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსთავი, ციხე. აბანო. (IX-XI სს.).  Рустави, крепость. Баня (IX—XI вв.).

შირდება XI ს. II ნახევარში თურქ-სელჯუკთა შემოსევის შედეგად ციხის გადაწვას.

ქალაქი აღორძინდა და აყვავდა XII-XIII სს-ში, მისი დასახლება ინტენსიური ხდება, განახლდა და გადაკეთდა პილონებიანი სასახლე, აშენდა მისი კუთვნილი აბანო და საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობანი, იზრდება ციხის ფართობი და სხვა.

XII საუკუნეში ციხეს ავლებენ სრულიად ახალ ზღუდეს, რომელიც აშენებულია რიყის ქვით კირ-ხსნარზე. გარედან — მოპირკეთებულია. ზღუდეში სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე ჩართულია გვირაბიანი კარიბჭე. დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში კი შიდაზღუდე II უქმდება და მასზე იმართება შუაფეოდალური ხანის ნასახლარები. ციხის აღმოსავლეთ ნაწილში ორივე ზღუდე ერთდროულად მოქმედებს, ჩრდილოეთით კი სამივე ზღუდე ერთმანეთშია შერწყმული.

განახლებული სასახლე ორსართულიანად გადაკეთდა, დაემატა აგურით ნაგები დიდი დარბაზი და ოთახები განლაგდა კორიდორული სისტემით.

სასახლის დარბაზების წმენდის დროს აღმოჩნდა: ამოკვეთილი ფერადი ბათქაშები, კედლის საერო მხატვრული ნიმუშები, გორელიეფი ადამიანის გამოსახულებით, თიხის ფიგურული კარნიზები, ვიტრაჟები ჩარჩოთი შემორჩენილი ფერადი და ორნამენტირებული სარკმლის მინით, ბრინჯაოს შტანდარტი არაბული წარწერით, მონეტების განძი (XIII ს. I მეოთხედი), მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის შესანიშნავი ნიმუშები, ლითონისა და მინის ჭურჭელი, სამკაულები, ურმის ბორბალი და სხვა.

სასახლის კუთვნილი აბანო, რომელიც კიბეებით უკავშირდება მას, გაითხარა აღმოსავლეთის ზღუდის გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, სასახლის კომპლექსი წარმოადგენს XII-XIII სს. საერო არქიტექტურის უნიკალურ ძეგლს.

მნიშვნელოვანი და თავისებურია რუსთავის ციხეზე გათხრილი საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსები. ისინი ძირითადად ოთხკუთხა და მორკალური ფორმისაა და ნახევრად მიწურებს წარმოადგენდა. მათი გათხრისას აღმოჩნდა: თონეები, რომელთაგან ზოგი საქარიანია, ქვევრები, რომელზედაც ზოგჯერ ჯვრები და ასტრალური ნიშნებია ამოტვიფრული; ხაროები, კერები, ბუხრები, თიხისა თუ ლითონის საოჯახო ჭურჭელი, სამკაული, მონეტები და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლები და ინვენტარი აღნიშნული ქრონოლოგიური პერიოდის რამდენიმე სამშენებლო დონეს შეესატყვისება.

ციხეზე გაითხარა ქვით ნაგები წყლის კოლექტორი, რომელიც XII-XIII სს. ნაგებობათა საკანალიზაციო სისტემას უკავშირდება და გადის ჩრდილოეთი ზღუდის გარეთ.

გათხრებმა დაგვანახა, რომ ქალაქმა მრავალჯერ განიცადა ნგრევა-შენება, მაგრამ, როგორც ჩანს ყველაზე საბედისწერო აღმოჩნდა 1265 წელს მონღოლთა შემოსევა, რომლის შემდეგაც რუსთავმა დაკარგა თავისი პირვანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა.

ამრიგად, ქალაქმა სამი ძლიერი გადაწვა-ნგრევა განიცადა, რაც შესანიშნავად გამოჩნდა ციხის და ნაქალაქარის გათხრების დროს. კულტურულ ფენებს სამ ზოლად გასდევს ნახშირნაცროვანი ფენა. აღნიშნული ფაქტები კარგად ესადაგება ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობებსაც.

ერთერთ საინტერესო აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს რუსთავის ციხეზე გათხრილი დარბაზული ტიპის ეკლესიისა და მისი შესაბამისი სამაროვნისა და საცხოვრებელი ნაგებობების გამოვლენა. ისინი გამართულია შუაფეოდალური ხანის ნაყარ-ნანგრევ ფენაზე და XIII-ს-ის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს. ციხის ჩრდილო-დასავლეთ ზღუდეზე გაიწმინდა XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისის ნაგებობა, რომელიც შესაძლოა წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით დაუკავშირდეს გამაჰმადიანებული ქართველი მეფის ერეკლე I-ის მეფობის ხანას, რომელმაც რუსთავი მცირე ხნით თავის რეზიდენციად გაიხადა.

ამრიგად, აღნიშნული მასალების მიხედვით ნათლად ჩანს რუსთავის ციხეზე შუასაუკუნეთა ცხოვრების უწყვეტი კვალი.

რუსთავის არქეოლოგიურმა შესწავლამ ბევრი სიახლე შეიტანა საქართველოს ფეოდალური ხანის ქალაქების შესწავლის ისტორიაში; უნიკალურია მისი საფორტიფიკაციო და ქალაქმშენებლობის სისტემა საინჟინრო თვალსაზრისით, ახალი სიტყვა თქვა საერო ნაგებობათა შესწავლის მხრივ. ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა საცხოვრებელთ თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა სტრუქტურაზე. კარგად გამოიკვეთა ქალაქის მაღალი ეკონომიკური დონე; დაწინაურებულია ხელოსნობის დარგები — მეთუნეობა, მინის წარმოება,



რუსთავი, ციხე. სამხრეთ აღმოსავლეთი გვირაბიანი კარიბჭე (XII-XIII სს.).

Рустави. Юго-восточные крепостные ворота (XII—XIII вв.).

ქვითხუროობა და სხვა. რუსთავი ინტენსიურადაა ჩაბმული საერთო სავაჭრო ურთიერთობაში და საქარავნო გზით უკავშირდება მეზობელ ქვეყნებს.

გ. ლომთათიძეს რუსთავის ბოლომდე შესწავლა არ დასცალდა, მაგრამ რუსთავის, ამჟამად უკვე კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია დღესაც განაგრძობს მუშაობას, როგორც რუსთავის ციხეზე, ისე ნაქალაქარზე, რაც მისი დაუზოგავი ენერგიისა და გულმოდგინე მცდელობის შედეგი.

---

ცისანა ჩიკოიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არტოზანის სამონასტრო კომპლექსი

ქართული ფეოდალური ხანის ქალაქების შესწავლა დიდი ხანია დადგა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე და საისტორიო მეცნიერების ერთადერთი უმთავრესი ამოცანა გახდა. უკანასკნელ ორ ათეულ წელიწადში გაითხარა და ითხრება ისეთი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრები, როგორიცაა დმანისი, მცხეთა, რუსთავი, უჯარმა, თბილისი ურბნისი, უფლისციხე, თელავი, ახალქალაქი, ვარძია, ვარდციხე, ნოქალაქევი, გრემი, ჟინვალი და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილ ნაქალაქართა დიდი ნაწილის არქეოლოგიური შესწავლა დაკავშირებულია ცნობილი ქართველი არქეოლოგის გიორგი ლომთათიძის სახელთან.

ფეოდალური ხანის ქალაქებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბევრი სპეციალური წერილი თუ განზოგადოებული ნაშრომი, რომლებშიც აისახა არქეოლოგიური კვლევის შედეგები, გამოითქვა მრავალი საყურადღებო მოსაზრება, დაზუსტდა ბევრი საკითხი და მრავალ მოვლენასაც თითქოს ნათელი მოეფინა; მიუხედავად ამისა გ. ლომთათიძე მაინც თვლიდა, რომ მრავალი პრობლემა ჯერ კიდევ დაუმუშავებელი ან ბოლომდე გადაწყვეტილი არ იყო. იგი ნათლად ხედავდა, რომ ჩვენ ხელთ ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი მასალა ქალაქის გენეზისის, საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა მხარის, ქალაქთა პოლიტიკური სტატუსის გასაშუქებლად და რომ ამ მასალის შევსება უნდა მომხდარიყო ფაქტობრივი მასალის დაგროვების მეშვეობით, ე. ი. უნდა წარმართულიყო ჯერ კიდევ შეუცნობელი ფეოდალური ხანის ქალაქების ყოველმხრივი შესწავლის გზით. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქების გათხრა, როგორიცაა რუსთავი, უჯარმა, ურბნისი, თბილისი, ახალქალაქი, კვეტერა, თელავი, ვარდციხე და სხვა. ძირითადად ნაქალაქართა მასალების შესწავლის შედეგად გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით მომზადდა მონოგრაფიები ქალაქების თელავის, ვარდციხის, ახალქალაქის, თბილისის შესახებ. ხელოსნურ ნაწარმზე — ფაიანსის, მოჭიქული თუ მოუჭიქავი კერამიკის, სამშენებლო კერამიკისა და მინის შესახებ.

გ. ლომთათიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის კახეთის შუასაუკუნეთა არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაშიც.

1968 წელს გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით დაიწყო კვეტერის უბრწყინვალესი ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა, ხოლო თელავის რაზმმა კი თელავის შემოგარენის ერთ-ერთი ნასოფლარის — არტოზანის სამონასტრო კომპლექსის გათხრა.

თელავიდან 10-ოდე კმ მოშორებით, მდ. თურდოს მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ერთმანეთზე გადაბმული რამდენიმე ნასოფლარი, რომელთა შორის საყურადღებოა არტოზანი.[1] არტოზანსა და რუისპირში აღრიცხულია ადრექრისტიანული ხანის შესანიშნავი ეკლესიები. ზოგი მათგანი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგ. წმინდა შიოს ტაძარი, რომელიც უნიკალურია თავისი გეგმითა და მშენებლობის ხასიათით, წმინდა თევდორეს ეკლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა




არტოზანი. „ყველაწმინდის" ეკლესიისა და მარნის გეგმა.

Артозани. Церковь «Квелацминда» и марани. План.

არტოზანი. მარნისა და სვეტებიანი ნაგებობის საერთო ხედი.

Артозани. Общий вид сооружения с колоннами и марани.



სია, რომელიც ერთ-ერთი უძველესია საქართველოში და სხვა. „ყველაწმინდის" სამონასტრო კომპლექსი კი პირველად ჩვენი ექსპედიციის მიერ იქნა გამომზეურებული; ამიტომ გთავაზობთ მოკლე ინფორმაციას ამ ძეგლის შესახებ.

ცნობილია, რომ ერთერთი სირიელი მამა-შიო, მღვიმეში დასახლებამდე მოღვაწეობდა არტოზანში; ანტონ მარტყოფელიც, რომელმაც დატოვა იოანე ზედაზნელი, განდგომილ ცხოვრებას ეწევა იყალთოში, შემდეგ არტოზანში, ალავერდში და ბოლოს დამკვიდრდა მარტყოფში. ისიც ცნობილია, რომ მათი სამოღვაწეო ადგილები იქცა შემდგომში სამონასტრო ცხოვრებისა და კულტურის ცენტრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არტოზანი. № 1 საწნახელი და მის აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე აუზები.

Артозани. Винодовильня № 1 с бассейнами с обеих сторон (восток—запад).

არტოზანი. მარანი.

Артозани, марани.



„ყველაწმინდის“ ეკლესია წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას სამი ნალისებური აფსიდით. სამივე ნავი დაგრძელებულია, აქვს დასავლეთის დახურული გარშემოსავლელი, ჩრდილოეთ ნავში გამოყოფილია პასტოფორიუმი, აშენებულია თანაბარი ზომის რიყის ქვითა და კირით. კუთხეებში და პილასტრებში გამოყენებულია გათლილი შირიმის ქვა. ეკლესია თავის დროზე მოხატული ყოფილა. ეკლესიის გეგმა და კომპოზიცია რთულია და მხატვრულად დასრულებული.

მთავარი ეკლესია მაღალია და ფართე. აღმოსავლეთით დატანებული აქვს სარკმელი, რომელიც შემდგომ დაუვიწროვებიათ. სარკმლის ორივე მხარეს ასიმეტრიულად დაყოლებული აქვს ორი ნიშა, ერთი თაღოვანია, თავზე ნალისებური რელიეფური ორნამენტით. ასეთივეა სარკმლის გარე ფასადიც. იგი თითო გასასვლელით უკავშირდება გვერდით ნავებს, გარშემოსავლელს და სამსხვერპლოს. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებთან შირიმის ქვით ამოყვანილია ორ-ორი, ორსაფეხურიანი პილასტრები, რომლებიც ეყრდნობიან ზედირკველს. პილასტრები იჭერს კედელზე შირიმის ქვით ამოყვანილ კამარებს, რომელთა ქვეშ ფართო სარკმლებია ამოჭრილი. ნავს აქვს საკმაოდ მაღლა აზიდული შვიდი კამარა, თაღოვანი გადახურვა, რომელიც სამი მალისგან შედგება.

სამხრეთის ეკლესიას აქვს ნალისებური აფსიდა სარკმლით, სამი ღია თაღოვანი შემოსასვლელი სამხრეთიდან და ერთი კარი დასავლეთით. იატაკი მთავარ ნავთან შედარებით უფრო დაბლაა.

ჩრდილოეთის ეკლესია მოკლეა და ვიწრო. აღმოსავლეთით გამოყოფილია მართკუთხა სენაკი-სამსხვერპლო. მასში დგას ოთხკუთხა შირიმის ქვის კვარცხლბეკი. ნავი თითო კარით უკავშირდება ცენტრალურ ნავსა და გარშემოსავლელს.

დასავლეთის გარშემოსავლელი წარმოადგენს ერთ მოგრძო დერეფანს, რომელიც სამივე ნავს აკავშირებს ერთმანეთთან. მისი დასავლეთი კედელი ყრუა, რაც ამ ტიპის ეკლესიებისათვის იშვიათობაა.

„ყველაწმინდის“ ეკლესია აშენებული უნდა იყოს VII-VIII სს. გ. ჩუბინაშვილის მიერ „კახეთის არქიტექტურაში“ განხილული ძეგლების ანალოგიების მიხედვით. ამ დროს შენდება მსგავსი ეკლესიები ვაჩნაძიანში, ნეკრესში, ზეგანში და სხვ.

ნამოსახლარი. ეკლესიის გვერდით გაითხარა საცხოვრებელი ნაგებობა, რომლის მშენებლობაშიც რამდენიმე ეტაპი გამოიყო. ეკლესიის თანადროული პილონებიანი ნაგებობისათვის შუაფეოდალურ ხანაში მიუშენებიათ ორსართულიანი სვეტებიანი ნაგებობა, რომლის ქვედა სართული გვიანფეოდალურ ხანაში მარნად გადაუქცევიათ და საცხოვრებელი ნაწილი მეორე სართულზე გაუმართავთ.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ მარნის კომპლექსზე. მარანი ოთხკუთხა დარბაზია ჩრდილოეთის მხრიდან გაჭრილი კარით. ჩრდილოეთ კედელში ერთ-ერთი თავდაპირველი პილონის ადგილას ბუხარია გამართული. სამივე კედელზე საწნახელია მიდგმული. საწნახლები აშენებულია რიყის ქვითა და კირით. შელესილია და შუაში ღია კერამიკული ღარი აქვს ჩაყოლებული. დასავლეთი-

სა და აღმოსავლეთის საწნახლები დარბაზის მთავარი ნაწილისაგან კედლითა და კარებითაა გამოყოფილი. მათი თიხის მილსადინარები დარბაზის ჩრდილოეთის კაპიტალური კედლის გარეთ გადის. დარბაზის ცენტრალურ ნაწილში ჩადგმულ საწნახელთან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან აშენებულია ორი აუზი, რომელთაც წვენის სადინარი არ გააჩნიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწნახლის გვერდითა აუზები ხშირად გვხვდება მარნებში, მაგ. პანკისის ხეობაში, გუდარეხში და სხვა, მაგრამ აღნიშნული აუზები საწნახელს თიხის მილებით უკავშირდება და ისინი აშკარად ტკბილის დაგროვებისა და დაწრეტისათვის იყო განკუთვნილი. არტოზანის მარნის აუზები ამ ფუნქციისათვის გამოუსადეგარია, ამიტომ საფიქრებელია, რომ ისინი ყურძნის დროებითი მარაგის შესანახად გამოიყენებოდა.

მარნის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლის გაგრძელებაზე გაითხარა 5 მ სიგრძის კედელი, რაც ნახევრად ღია ფარდულის არსებობას გვავარაუდებინებს, რომელშიც ქვევრები უნდა ყოფილიყო ჩაფლული. ამრიგად, არტოზანის მარანი კომბინირებული ტიპისაა, სადაც ღვინის დამუშავებასთან ერთად ხდება ღვინის შენახვაც.

საბას განმარტებით მარნის პირველი სახელწოდებაა „ღვინის სახლი“. მკვლევართა მიერ გამოთქმულია აზრი, რომ სახელწოდება „მარანი“ წარმოქმნილი უნდა იყოს დაახლოებით IV-VIII სს-ში, მაშინ, როდესაც ქვევრებისა და ინვენტარის შენახვა ერთ სათავსში მოხდა.

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილი ადრეფეოდალური ხანის მარნების უმრავლესობა მხოლოდ ღვინის შესანახი სათავსები ჩანს და ღვინის დაყენება-დამუშავებასთან დაკავშირებული ინვენტარი მის გვერდით არა გვხვდება. (ვანი, არმაზისხევი, მცხეთა, რუსთავი ურბნისი). შუაფეოდალური ხანის მარნებში კი ორივე ფუნქცია გაერთიანებულია (დმანისი, ვარძია, იყალთო).

ამდენად საფიქრებელია, რომ ადრეფეოდალური ხანის მარნები ძირითადად ღვინის შესანახია, ღვინის დაწურვა კი ხდება სხვა ადგილას, ალბათ ვენახის ახლოს. შუა და გვიანფეოდალურ ხანაში კი მარნის ფუნქცია იზრდება, მასში გარდა ყურძნის დამუშავებისა, ხდება ღვინის შენახვაც. მსგავსი მარნები დადასტურებულია საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. ამავე ტიპს მიეკუთვნება არტოზანში გათხრილი მარანიც, რომელიც თვით მარნის კონსტრუქციისა და შიგ აღმოჩენილი კერამიკული მასალის საფუძველზე XVI-XVII სს. თარიღდება.

---

[1]. მდებარეობს სოფ. რუისპირის სამხრეთით. იგი შუამთის მონასტრის დაქვემდებარებული სოფელი ყოფილა, შავმიწანიადაგიანი და მაღალმოსავლიანი მინდვრებით. ორივე სოფელი მოხსენებულია ვ. ბაგრატიონისან „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1941 წ. გვ 207.

დავით მინდორაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XI-XIII სს. ლითონის ნივთები უფლისციხიდან

უფლისციხის გათხრებისას მოპოვებული XI-XIII სს. ლითონის ნაწარმი საკმაოდ მრავალფეროვანია. ფუნქციონალური თვალსაზრისით მათში შეიძლება გამოიყოს საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, სამკაულები თუ სხვა დანიშნულების ნივთები.

XI-XIII სს. საბრძოლო იარაღი წარმოდგენილია რკინის ორფრთიანი ისრისპირებით (№№ 273, 2291, 2119, 2132). მათ შორის ზოგიერთი წიბოყუნწიანია. თანადროული მსგავსი ფორმის ისრისპირები მრავლადაა მოპოვებული დმანისში, რუსთავში, ჟინვალში, გარნისში, დვინში და სხვ. აღსანიშნავია, რომ ისრისპირებიდან ჯერ-ჯერობით სრულიად არ გვხვდება სამფრთიანები, რომლებიც მეტად გავრცელებულია ადრეფეოდალურ ხანაში.[1] ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ მოსახლეობა სისტემატიურად წმენდდა კლდის სათავსებს, რამაც ადრეფეოდალური ხანის ფენების უდიდესი ნაწილი შეიწირა.

სამეურნეო-საოჯახო ნივთები შედარებით მრავალფეროვანია. მათგან აღსანიშნავია XII-XIII სს. დათარიღებული პურის ამოსაყრელი „კინჭუტი“[2](№ 37), აგრეთვე რკინის ცული (№2127), სწორტანიანი, წრიული სატარე ნახვრეტით და ნამგალი (№2130). როგორც ცული, ისე ნამგალი ერთ ფენაში იქნა მიკვლეული და თანმხლები კერამიკული მასალის მიხედვით XII-XIII სს. განეკუთვნება.

თავის დროზე ნ. რეხვიაშვილმა დაადგინა, რომ ეთნოგრაფიული „ქართული ცული“ სატარეთა მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა, „მრგლოვანი“ და „კუთხოვანი“. ეს უკანასკნელი შედარებით მოგვიანო ხანაში ჩნდება. მას წინ უნდა უსწრებდეს „მრგლოვანი“ სატარე[3], ამასთან ქართული ცულების ტიპიური თავისებურებაა თავ-ფართე სატარე. დამოწმებულია ცულის გამოჭედვის ორგვარი წესი, „ძველებური“ და „ახლებური“. ძველი წესით გამოჭედვა გულისხმობს საცულე რკინის გაბრტყელებას, რასაც „დედანი“ ეწოდება. შემდგომ „დედანი“ ორტოლად მოიკეცებოდა და შუაში ჩაერთვოდა რკინის ნაჭერი — „ყაფი“, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა ორად მოკეცილი საცულე „დედნის“ შესქელება, რომ ცულს სოლისებური ტანი მიეღო. ტანდაქნილი ცული შემდგომ გაიწკიპებოდა და საბოლოოდ „გაიკაზმებოდა“. უფლისციხური ცული, ეთნოგრაფიულ „ქართულ ცულთან“ საკმაოდ დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. ეს უპირველესად ითქმის სატარეზე, რომელიც მრგვლოვანი და თავფართეა, რაც ყველაზე მეტად დამახასიათებელია ქართული ცულისათვის. ამასთან უფლისციხური ცული ე. წ. „ძველი წესითაა“ გამოჭედილი. ამდენად ის უნდა წარმოადგენდეს ეთნოგრაფიული „ქართული ცულის“ წინა საფეხურს, სადაც უკვე კარგად ჩანს ქართული ცულის ტიპიური თავისებურება — თავფართე სატარე. მრგლოვანი სატარის მიხედვით კი, იგი უფრო ძველი ნიშნების მატარებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა







ლითონის ნივთები უფლისციხიდან.

Металлические предметы из Уплисцихе.

რაც შეეხება ნამგალს, მსგავსი სამეურნეო იარაღი ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან (რუსთავი, დმანისი). უფლისციხური ნამგალი უფრო სწორპირიანია, ორკაპა სახელურით და თავისებურ ტიპს წარმოადგენს XII-XIII სს. ნამგლებს შორის.

რკინის დანებში ორი ტიპი გამოიყოფა, სწორტანიანი (№2048) და მოხრილი (№133). ეს უკანასკნელნი, პირველთან შედარებით არც თუ ფართოდ ჩანან გავრცელებულნი XI-XIII სს. უფლისციხეში. ჯერ-ჯერობით სულ ორი ცალია აღმოჩენილი. ისე კი მსგავსი დანები მრავლადაა მოპოვებული განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ლითონის სხვა ნივთებიდან წარმოდგენილია სამკაულები: სპილენძის მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურის ნატეხი (108). ზურგი შემკულია ამოღარული ხაზებით, თავი — გველის სტილიზებული გამოსახულებით. აღმოჩენილი XII-XIII სს. ფენაში. ბრინჯაოს სამაჯური (№ 151) სადა, ბრტყელგანივკვეთიანი, თავგახსნილი. მსგავსი სამაჯურები ცნობილია როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა თუ აზერბაიჯანის შუაფეოდალური ხანის ძეგლებიდან. თანმხლები კერამიკული მასალის მიხედვით სამაჯური XI-XIII სს. თარიღდება.[4] ამავე პერიოდს განეკუთვნება სპილენძის ბეჭედი (№ 872), რომლის წნული ორნამენტით შემკულ, ბრტყელგანივკვეთიან რკალზე მირჩილულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ქიმების თავში დასმულია პატარა ნახევარსფეროები. ვარსკვლავის ცენტრში მოთავსებულ მაღალ თვალბუდეში ჩასმულია მინისებური პასტის თვალი. ვარსკვლავის მთელი სიბრტყე შემკულია წნული ორნამენტით. ბეჭედი, მიუხედავად მასალის სხვადასხვაობისა, შემკულობის ზოგიერთი დეტალის მიხედვით (წნული ორნამენტი, ნახევარსფეროები) ახლო მსგავსებას პოულობს დმანისში აღმოჩენილ XII-XIII სს. დათარიღებულ ოქროსა და ვერცხლის სამკაულების ორნამენტთან.[5]

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან გვხვდება: რკინის საკინძი (№2232), ძლიერ დაჟანგული, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, სფერული თავით. ბრინჯაოს საკინძი (№2284), მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი. სფერული თავი დამზადებულია ცალკე და შემოჭედილია ღეროზე. ორივე საკინძი მიკვლეულია XII-XIII სს. ფენაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა დანიშნულების ნივთებიდან მოპოვებულია რკინის ლურსმნები (№26). ისინი ყველა ერთი ფორმისაა, დაბრტყელებული თავითაა და მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი. უფლისციხეში აღმოჩენილია ცხენის ნალებიც, რომლებიც საერთოდ ფართოდაა ცნობილი ამიერკავკასიის ფეოდალური ხანის ძეგლებზე. საინტერესოა სპილენძის ერთი მოგრძო, თხელი ფირფიტა (№68) შუაში შევიწროებული ტანით, რომელზედაც გააჩნია ორი მცირე ზომის გახვრეტილი მკლავი. ფირფიტა შემკულია შტამპით შესრულებული მცენარეული ორნამენტით. თანმხლები კერამიკული მასალის მიხედვით იგი XII-XIII სს. თარიღდება. ფირფიტა ფორმით წააგავს აბჯრის ფირფიტებს, მაგრამ ის უფრო სხვადასხვა საგნების, აღეჯისა თუ მცირე ზომის ყუთების შესამკობად უნდა გამოეყენებინათ.

ჯერჯერობით მთლად ნათელი წარმოდგენა არა გვაქვს უფლისციხის ადრეფეოდალური ხანის ლითონის ნაწარმზე. ვინაიდან როგორც აღვნიშნეთ, კლდის სისტემატურმა წმენდამ შეიწირა ადრე შუასაუკუნეების ფენათა უდიდესი ნაწილი, რაც შეეხება XI-XIII სს. ლითონის ნივთებს, ისინი საკმაო მასალას იძლევიან განვითარებული ფეოდალური ხანის უფლისციხის ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესასწავლად.

---

[1]. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 126.

[2] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხეში 1958 წ. წარმოებული გათხრების ანგარიში. (ხელნაწერი), გვ. 5.

[3]. ეთნოგრაფიული ქართული ცულის შესახებ იხ. ნ. რეხვიაშვილის ნაშრომი „ქართული ცული", საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XV-B, თბ., 1948.

[4] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხეში 1959 წ. წარმოებული გათხრების ანგარიში, (ხელნაწერი), გვ. 18-20.

[5] ვ. ლექვინაძე, რუსთაველის ეპოქის ქართული ოქრომჭედლობის ძეგლები, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", თბ., 1966, №9, გვ. 17-18.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ კეზევაძე

# ქვითხუროni ბერეკაშვილები

## (ბერეკაშვილების სამშენებლო მოღვაწეობის ქრონიკა XIX ს.)

XIX ს. იმ ქართველ ოსტატებს შორის, რომლებიც აგრძელებდნენ შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ტრადიციებს, გამოირჩევიან ოსტატები ბერეკაშვილების გვარიდან. მათ მოღვაწეობას პირველმა ყურადღება მიაქცია აკად. ვახტანგ ბერიძემ (იხ. ვ. ბერიძე — ძველი ქართველი ოსტატები. თბ., 1967 წ.). ჩვენ შევეცადეთ საარქივო მასალების გამოყენებით კიდევ უფრო წარმოგვეჩინა ბერეკაშვილების სამშენებლო მოღვაწეობის ზოგიერთი უცნობი ფურცელი.

XIX ს. დასაწყისში ბერეკაშვილების ძირითად საცხოვრისს დასავლეთ საქართველოში, სოფ. კურსები (ახლანდელი ქ. ტყიბულის ზონა) წარმოადგენდა,[1] ამავე საუკუნის 70-იან წლებიდან კი ამ გვარის წარმომადგენლებს ქ. ქუთაისის მცხოვრებლებადაც ვხვდებით.[2]

ბერეკაშვილების პირველი მოხსენიება მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებთან 1843 წელს გვხვდება, როცა ლევან, მიქელა, მოსე, ივანე, მოსე და დავით ბერეკაშვილებმა ხელშეკრულება დადეს გელათის მონასტრის მმართველობასთან მონასტრის ნაგებობათა შეკეთებაზე, ძირითადად სახურავის შეცვლაზე[3], მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო 1843 წელს აღნიშნული სამუშაოების ჩატარება არ მოხერხდა.

1844 წლის ზაფხულსა და 1845 წლის გაზაფხულზე[4], ლევან, მოსე და ფილიპე, ბერეკაშვილებმა[5] შეაკეთეს და გააფართოეს მოწამეთის მონასტერი (შეკეთება-გაფართოების სამუშაოების ინიციატორი და საერთო ხელმძღვანელი იყო იმერეთის ეპისკოპოსი დავით წერეთელი). ეს იყო დიდი მასშტაბის სამუშაოები, ფაქტიურად მოწამეთის ხარების ტაძარი, ხელახლა აშენდა, შეკეთდა სამხრეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლები, წინა ბჯე ოთხ სვეტზე შეკეთდა თლილი ქვით, დაიგო ქვის იატაკი, დატანებული იქნა ორი ახალი ფანჯარა.[6]

მოწამეთის მონასტერში გადაკეთება — გაფართოების სამუშაოები მთლიანად 1865 წელს დასრულდა. დასრულდა იგი ხარების ეკლესიის გუმბათიანად გადაკეთებით და ეკლესიის შიგნით კანკელის გაკეთებით.[7]

როგორც აღვნიშნეთ 1843 წელს გელათის მონასტრის შეკეთება არ მოხერხდა. შეკეთების სამუშაოები აქ ძირითადად 1846 წლის შემოდგომასა და 1847 წლის გაზაფხულზე ჩატარდა. შეიცვალა ეკლესიების და სამრეკლოს სახურავები.[8] შეკეთებაზე მუშაობდნენ: მამა-შვილი მიქელა სიმონის ძე და ლევანა მიქელას ძე ბერეკაშვილები, ძმები — მოსე, ივანე და მიქელა გოგიას ძე ბერეკაშვილები, აგრეთვე მოსე, ფილიპე, კიკოლა, პაატა, ლევანი და ივანე ბერეკაშვილები.[9]

1847 წელს ლევან, მოსე და ფილიპე ბერეკაშვილებმა დაიწყეს სოფ. კურსების წმ. გიორგის ეკლესიის აგება, კიდეც ააშენეს კარების სიმაღლემდე, მაგრამ შემდეგ მრევლთან დავის გამო შენება შეწყვიტეს.[10] ეკლესიის აგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა დაასრულეს ბერძენმა ოსტატებმა ქრისტეფორე ჩილიკოვმა და ხარლამპე ქსანდინოვმა.[11]

ბერეკაშვილებს, როგორც კარგ ოსტატებს ხშირად ავალებდნენ სხვა ოსტატების აგებულ ან შეკეთებულ შენობათა შემოწმებას. მაგალითად ლევან და მოსე ბერეკაშვილებმა 1862 წლის 23 ნოემბერს შეამოწმეს ბერძენი ოსტატების მიერ ახლადშეკეთებული ხონის წმ. გიორგის ქვის ეკლესია, რაც მოიწონეს[12]

1863-1866 წლებში ლევან და მოსე ბერეკაშვილებმა ააგეს სხვავის გუმბათიანი ეკლესია.[13]

1864 წლის ზაფხულში ლევან, მოსე და ფილიპე ბერეკაშვილებმა გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში გააკეთეს ქვის კანკელი.[14]

1864 წლის 18 ნოემბერს ძლიერმა ქარმა დააზიანა (გადახადა) გელათის სოხასტრის დედათა მონასტრის ეკლესიის, გელათის მონასტრის წმ. გიორგის და მოწამეთის მონასტრის ხარების ეკლესიის სახურავები. სამივე ადგილზე შეკეთების სამუშაოები შეასრულეს ბერეკაშვილებმა — სოხასტერში ლევანმა და მოსემ,[15] წმ. გიორგის ეკლესიაში ლევანმა, მოსემ და ფილიპემ, [16] მოწამეთაში ლევანმა, ფილიპემ და ბასილმა.[17]

1864-1865 წლებში ბერეკაშვილებმა შეაკეთეს გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ფანჯრები.[18]

1867 წელს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დავალებით ლევან და მოსე ბერეკაშვილებმა ააგეს გუმბათიანი ეკლესია სოფ. ბახვში.[19]

1867 წელს ლევან და მოსე ბერეკაშვილები იმ დიდი შრომისათვის, რომელსაც ისინი ეწეოდნენ საეკლესიო შენობათა აგება-შეკეთებისათვის, წარდგენილი იქნენ იმერეთის ეპარქიის მმართველობის მიერ დასაჯილდოებლად ვერცხლის მედლით[20]. ეს იყო მკერდზე სატარებელი ვერცხლის მედალი ანას ლენტზე, რომლითაც ისინი დაჯილდოვდნენ კიდეც 1871 წელს.[21]

1867 წელს გელათში მდ. წყალწითელაზე ნახიდურის განახლება დაიწყო მოსე ბერეკაშვილმა (პოლეველ ბოჭორიშვილთან ერთად)[22]

1872 წელს გოდოგნის ეკლესიის აგება უნდა დაეწყო ფილიპე, მათე და ისიდორე ბერეკაშვილებს.[23] როგორც ამ ეკლესიის წარწერიდან ირკვევა შენობა 1873 წელს დაუსრულებია ისიდორე ბერეკაშვილს.[24]

1873-1878 წლებში ლევან და მოსე ბერეკაშვილებმა ააგეს სოფ. ტობანიერის ეწრის სამების, ჭაბუკთა თერჯოლის და დვალიშვილების ეკლესიები.[25] ამავე დროს სოფ. ღვანკითის ეკლესიას აგებდა ლევანის შვილი.[26] საფიქრებელია, რომ ალბათ ისიდორეა გოდოგნის ეკლესიის ამგები.[27]

1878-1884 წლებში მოსე, მათე და ვასილ ბერეკაშვილებმა ააგეს ცუცხვათის მაცხოვრის ეკლესია[28], ძუყნურის ეკლესიის გეგმის მიხედვით ივანე და ფირანა ბერეკაშვილებმა ამავე წლებში ააგეს ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესია,[29] გოდოგნის ეკლესიის გეგმის მიხედვით.

1878 წლის მაისში მოსე და სიმონ ბერეკაშვილებმა გელათის მონასტერში შეაკეთეს დიდი ოდა.[30] აქვე 1882 წელს ლევან სიმონის ძე, მოსე და გრიგოლ მახარობლის ძე და სიმონ ივანეს ძე ბერეკაშვილებმა დაასრულეს აგება საწინამძღვრო ხუთოთახიანი სახლის, ოთხოთახიანი სასტუმრო ოდის თავის აივნებით და კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლისა.[31]

ეროვნული ბიბლიოთეკა

1883 წელს იოსებ ბერეკაშვილმა ააგო ნაგარევის ეკლესია.[32]

1884 წლის 2 ნოემბერს ლევან მოსეს ძე ბერეკაშვილს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის სახელზე შეაქვს თხოვნა წახალისებაზე, სადაც აღნიშნავს, რომ ვერცხლის მედლით დაჯილდოების შემდეგ, (1871 წ.) ააგო ოთხი ეკლესია: ჭოგნარში, ოდილაურში, ჭაბუკთა თერჯოლაში და არგვეთაში.[33] 1891 წელს ამ დიდი შრომისათვის ლევან მოსეს ძე ბერეკაშვილი დაჯილდოვდა მკერდზე სატარებელი ოქროს მედლით სტანისლავის ლენტზე წარწერით „ზაუსერდიე“.[34]

1891 წელს ვასილ ლევანის ძე და ივანე გრიგოლის ძე ბერეკაშვილებმა შეაკეთეს ზარათის ეკლესია[35].

1893-1894 წლებში ისიდორე ფილიპეს ძე ბერეკაშვილმა გელათის მონასტერში ააგო გაბრიელ ეპისკოპოსის საცხოვრებელი სახლი,[36] 1895-1896 წელს კი საკმაოდ დიდ სიგრძეზე შეაკეთა მონასტრის გალავანი.[37]

